საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 ნოემბერი, 2013 წელი.

№217 (7345)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„კეზერაშვილი საქართველოში არ უნდა ჩამოუშვან — ეს არის საპაკაშვილის მთავარი ამოცანა“

3

...კარგს სახელად რა დავარქო?

2

მივარდნილი სადგურის სასადილოს საპირფარეშოს ბუზი თუ ფუნაგორია ხოჭო?

ვარიაციები პრეზიდენტის სასახლის თემაზე

5

აი, რატომ აკლდება მილიონები ბიუჯეტს

6

„დაბოგბილი“ ჭიათურის სოფლები და „ჯორჯიან მანგანეზის“ პასუხისმგებლობა



7

საქართველოს მომავალმა პრემიერმა

8

კადრები წარმოაჩინა

4

„ივანიშვილსა და მის მომხრეებთან დაპირისპირებას ვერავინ გაბედავს“

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალექსანდრე ჭიკაიძე — შს მინისტრობის კანდიდატი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილს ალექსანდრე ჭიკაიძე შეცვლის. ამის შესახებ განცხადება შს სამინისტროში ამ რამდენიმე დღის წინათ გაკეთდა.

ალექსანდრე ჭიკაიძე დაიბადა 1985 წლის 6 ივნისს, ქ. თბილისში.

2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დიპლომატიის სპეციალობით.

არის პოლიციის პოლკოვნიკი.

2008-2009 წ.წ. მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში.

2009 წ. — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი.

2010-2011 წ.წ. — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი.

2011-2012 წ.წ. — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსი.

2012-2013 წ.წ. — შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი.

2013 წლის მარტიდან დღემდე — შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი.

იცის ქართული, რუსული და ინგლისური ენები.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

◎ ინფორმაცია

ოფიციალური ვიზიტით - პარიზში

შსს-ს ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ მანუელ ვალსთან.

შეხვედრაზე მხარეები ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებსა და სამომავლო გეგმებს განიხილავენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ასევე იგეგმება საფრანგეთსა და საქართველოს შორის ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა. აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ლეგალურ მიგრაციას და საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების დამატებით შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდება ევროპული საქმეების მინისტრს ტიერი რეპენტინს.

◎ თანსინადეფსიანი ბუზი

...კარგს სახელად რა დავარქო?

მივარდნილი სადგურის სასადილოს საპირფარეშოს ბუზი თუ ფუნაგორია ხოჭო?

ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდე, მინდა, ერთი ამონარიდი მოვიყვანო „ასავალ-დასავალის“ 4-10 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ჩვენი ცნობილი პოეტისა და მამულიშვილის რეზო ამაშუკელის ინტერვიუდან:

„ათას ბოდიშს ვუხდი ჩემს ძვირფას ხალხს, ჩემს პატიოსან, ოჯახიშვილ ძართველებს, მაგრამ მე ამ ნაძირლებთან სხვა ლექსიკონით საუბარი არ შემიძლია და რასაც იმსახურებენ, იმ ენით უნდა ველაპარაკო!..“

განცმოძრაობელებზე ამბობს ამას ბატონი რეზო და იქვე განაგრძობს:

„...აი, მაგალითად, გიორგი კანდელაკი რომ არის, მივარდნილი სადგურის სასადილოს საპირფარეშოს ბუზს რომ ჰგავს, დააკვირდით, როგორ ყელყელაობს ეგ იდიოტი!..“

სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად კი ვიგრძენი ერთგვარი უხერხულობა ბატონი რეზოს ასეთი „შიშველი ნატურალიზმის“გამო, მაგრამ პოეტისა არ იყოს, მართლაც **„ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?“**

ეს აზრი მით უფრო განმიმტკიცდა, როდესაც გასული კვირის მიწურულს კიდევ ერთხელ ვიხილე ტელეეკრანზე მართლაც „აყელყელავებული“ გიორგი კანდელაკი, ჩვეული უტიფრობა-თავდაჯერებულობითა და ლამის უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის მქონის ტონით რომ ამბობდა სათქმელს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ალექსანდრე ჭიკაიძის წარდგენასთან დაკავშირებით.

— მასო, — რიხიანად ბრძანებდა „ბუზი“ წარდგენილზე, — **შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მუშაობის ძალიან მწირი გამოცდილება აქვსო... თანაცო,** — წყალმედეგი ცემენტით ადუღაბებდა თავის ნათქვამ პოზიციას, — **ამ საქმეს ნეპოტიზმის სუნი უდისო — ჭიკაიძის მამასა და ღარიბაშვილის სიმამრს ახლო ურთიერთობები ჰქონდათო!**

აუჰ, რა მაგარია! უბრალოდ ათიანში კი არა, ათიანის ათიანში ურტყამს შეუმცდარად!

თუმცა, ერთი აქ მომიახლოვდი, ჩუბინო „ბუზო“ (ოღონდ ზედ კი არ დამაჯდე!), და ყური დამიგდე!

მე პირადად მომავალ შინაგან საქმეთა მინისტრს არ ვიცნობ. უფრო მეტიც, ვიცნობ კი არა, თუმცა შსს დედაქალაქის სამმართველოს უფროსი ყოფილა და, როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საათივითაც აუწყვია იქ საქმე, მისი გვარიც არ გამიგია ხეირიანად (ეს იმისი აშკარა პლუსი არის და სამინისტროს სისტემაში გატარებული რეფორმების წარმატების მიმანიშნებელიც!). ამიტომ ვერც რაიმე მიკერძოებას დამწამებს ვინმე.

ჰოდა, „ბუზო“, იმის მწირ პროფესიულ გამოცდილებას რომ აღნიშნავ (თუმცა, იგი ხუთ წელზე მეტია სისტემაშია და გნაცმოელთა დროს დაუწინაურებიათ კიდეც — რ. რ.) ხაზგასმით, იქნებ შეძლებისდაგვარად მაინც დაძაბო გონება და გაიხსენო: შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მუშაობის რამდენიმეწლიანი კი არა, თუნდაც რამდენდღიან-საათიანი გამოცდილება ჰქონდა გნაცმოძრაოებელთა მიერ ძვეყნის ხერხემლად მონათლულ ვანო მერაბიგშვილს, როცა იგი ჯერ უშიშროების, შემდეგ კი შს მინისტრად დაინიშნა?

რაღაც არ მახსენდება შენი და შენნაირების რაიმე რეპლიკა-უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით, „ბუზო“.

ახლა, რაც შეეხება შენს მეორე **„ბრალდებას“** ნეპოტიზმთან დაკავშირებით:

იქნებ კვლავაც შეძლებისდაგვარად დაძაბო გონება (რაო, არ გამოგდის? რას იზამ, ძნელია გონების დაძაბვა, თუ ამ პროცესს ტვინი ვერ თუ არ მართავს ასეთი რამის საერთოდ უქონლობისა თუ გაყინულობის გამო!) და გაიხსენო:

ვინ გახლდათ და ვისი ახლობელი იყო ვინმე მესხელი, რომელიც ვანო მერაბიშვილმა თავის, ანუ შს მინისტრის მოადგილედ დაისვა და რომელსაც, როგორც „ავი ენები“ ამბობენ, არამცთუ პროფესიული გამოცდილება არ ჰქონდა, უმაღლეესიც არ დაუმთავრებია და ჯარშიც არ უმსახურია?

სამაგიეროდ, როგორც იგივე „ავი ენები“ ამტკიცებენ, ის მესხელი ბიშვილს, როცა იგი ჯერ უშიშროების, შემდეგ კი შს მინისტრად დაინიშნა?

სამინისტროს კუთვნილი რამდენიმე მილიონით საზღვარგარეთ გაქცეულა.

ეს ყველაფერი მალე გაირკვევა და დადასტურდება, „ბუზო“, და მერე ვილაპარაკოთ.

მანამდე კი ის მინდა, განვმარტო, რატომ ჩავსვი ბრჭყალებში სიტყვა ბუზი.

ეს იმიტომ კი არ მიქნია, თითქოს არ ვეთანხმებოდე და საერთოდაც ვემიჯნებოდე შენთან დაკავშირებით ბატონ რეზო ამაშუკელისეულ შეფასებას.

პირიქით, ვეთანხმები! და არა მარტო ვეთანხმები, არამედ იმასაც დავძენ, რომ ხშირად სწორედ იმ ბუზივით ხარ კედელზე მისასრესი შენი უტიფრობა-უსირცხვილობის გამო.

ბრჭყალებში კი იმიტომ ჩაგსვი, რომ არსებობს შენზე „მაღალი კატეგორიის მწერი“ — **ხარაბუზა,** ანუ ნაგავში მქექველი ხოჭო, ვისაც საკუთარ თავზე ერთობ დიდი წარმოდგენა აქვს.

ხომ გაგიგია, ეს ხარაბუზა ხარს რომ თავზე დააჯდა და მერე ტრაბახობდა, ეს ყანა მე და ხარმა მოვხანითო.

იქნებ ისიც გსმენია, „ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა, მიაძახა, „გზა მომეო!“

ხარაბუზა ვინც არის განცმოძრაობაში, კარგად გეცოდინება, „ყველაფრის მცოდნევ“, შენ კი, სწორედაც რომ, ბატონი რეზო ამაშუკელის „ნატურა“ ხარ. იმადაც ჩაგსვი ბრჭყალებში, რომ თავადაც იცოდე შენი ადგილი და სხვამაც.

და კიდევ, შენ, უბრალოდ, საპირფარეშოს ბუზი კი არა, **თანსინადეფსიანი** ბუზიც ხარ — **თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანი მავნე მწერი!**

ამიტომ შენთან ლაპარაკს მოვრჩი და ჩემს სათქმელს იმითვე დავამთავრებ, რითაც დავიწყე, ანუ ბატონ რეზო ამაშუკელთან სრული სოლიდარობით:

„ათას ბოდიშს ვუხდი ჩემს ძვირფას ხალხს, ჩემს პატიოსან, ოჯახიშვილ ძართველებს“, იმისთვის, რაც და როგორც ვთქვი.

ასეთ წარმოუდგენელ ალზეევებამდე თურმე ვალუტის გადამცვლელ პუნქტში მუშაობდა, სადაური გამოცდილებაც შს სისტემაში მუშაობის დროსაც გამოდგომია და შარშანდელი პარლამენტის არჩევნების შემდეგაც კარგად გამოუყენებია, როდესაც სამინისტროს

რუსლან რუსია

◎ კაკალ გულში

ღერტილოვანი ფრაზები

● რაიხსტაგ ვშოკე.

● დღეს რეზიდენციის თავზე ტანგა ფრიალებს. გამოცანა გვეკითხება, რისი გადაღება მიდის „შით“?

● კლიპის დასასრული გავიგე: ანდრო ბარნოვი გამოდის და იძახის:

— ვინ არის ის გმირი, ვინც ხუთჯვრიანი დროშა გულებიანი დროშით შეცვალა?

წუკლარა, აკო, გოკა, გოგორა, ოჩიაური და ა.შ ერთხმად შესძახებენ:

— მიშმუდი! მიშმუდი!

მერე გამოდის ბუნიათანათამიაშვილი, ნიჟარაძეს ცერად გადახედავს და ხაჩიკასთან ერთად მღერის „მიშმუდი მაგარიას“.

ნიჟარაძე, ქობალია, ონაშვილი, გოგორიშვილი ერთად ცეკვავენ მუცლით ცეკვას.

● ვანო-უდელს რიკოთის ნაზუქი ნაყვარება, ბადრაგს — ზესტაფონის ხაჭაპური. ევროკავშირი შეშფოთებას გამოთქვამს.

● თბილისის განახლებულ პარლამენტში ჭოჭინა ყველა კაბინეტის კარში შეეტევა?

● შირაკა სტრანა მოია იძიოტოვ!!! (ეს რა უბედურება დაგვემართაა.. რას დავემსგავსეთ?).

● მინისტრთა კაბინეტის ჰიმნი რა იქნება? „ჩუნგა ჩანგა“, ჰო?

● ნაცმოძრაობის ნარჩენებს რომ ვხედავ ტელეეკრანებზე, ტიხონოვი მომაგონდება ხოლმე:

Гвозди бы делать из этих людей:
Крепче бы не было в мире гвоздей.

წიკლაურისგან, მაგალითად, მშვენიერი „პოლის ლურსმანი“ გამოვიდოდა. დანარჩენებზე თქვენ იზრუნეთ..

● არჩილ კბილაშვილის მუშაობა იდეალური არ იყო, ბევრი ნაკლი ჰქონდა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწემ დავით ზურაბიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა“. გუშინ ხომ იდეალური და უნაკლო იყო?

ერთი კაცი მაინც არ ჰყავთ რესპუბლიკელებს, ვისაც მორალური უფლება ექნება, თუშის ლექსისა არ იყოს, თქვას: რესპუბლიკელი ვარ, მაგრამ კარგი ვარო?!.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

„კეზერაშვილი საქართველოში არ უნდა ჩამოუშვან – ეს არის სააკაშვილის მთავარი ამოცანა“

საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე კონკრეტული ევროპელი დიპლომატებისგან კეთდება განცხადებები, რომლის თანახმადაც, უხეშად რომ ვთქვათ, ისინი საკაშვილის ხელშეუხებლობას ითხოვენ. საქართველოში მსგავსი ტიპის ინფორმაცია, რომ სააკშვილის მიმართ საგამოძიებო სამუშაოები იწყება, ან მიმდინარეობს, არ ვრცელდება. ამ კუთხით გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ დასავლელი პოლიტიკოსების პრევენცია, ცოტა არ იყოს, უადგილოც კი ჩანს. არ არის გამორიცხული, ამ საკითხს ჰქონდეს მეორე მხარეც და დასავლეთისთვის, განსაკუთრებით მაღალი დონის პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისთვის ცნობილი იყოს ისეთი რამ, რაც ქართული საზოგადოებისთვის ამ ეტაპზე დაფარულია.

მაგალითად, ფრანგული „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი დააკავეს მაშინ, როცა ის ნიცის აეროპორტიდან მიფრინავდა პრიშტინაში (კოსოვო). ის ეჭვმიტანილია კონტრაბანდასა და იარაღით უკანონოდ ვაჭრობაში. იქვე აღნიშნულია, რომ კეზერაშვილი ასევე იძებნება საქართველოში ფულის გათეთრების გამო და ა.შ.

რამდენიმე დღეში საფრანგეთში მიხეილ სააკაშვილიც ჩავიდა „წიგნების შესაძენად“, გავრცელებული ინფორმაციით კი გიგი უგულავა და ჩიორა თაქთაქიშვილი ფრანგული ენის კარგად ფლობისა და ერთგულების ნიშნით გამოარჩია და რეალურად, კეზერაშვილის საქმის მოსაგვარებლად ჩაიყვანა. არის თუ არა საერთო ამ საქმესა და ზოგიერთი დასავლელი დიპლომატის პრევენციულ განცხადებებში, ამას დრო გვიჩვენებს.

ექსპერტი მამუკა არეშიძე კი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილის დღევანდელი თავისტკივილი, არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ დავით კეზერაშვილია.

მამუკა არეშიძე for.ge-ს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ესაუბრება.

— ბატონო მამუკა, მართალია საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა, მაგრამ როგორც ჩანს, პოლიტიკური ვნებათაღელვა ჯერ კიდევ წინ გვაქვს - ახალი პრემიერისა და მთავრობის დამტკიცება. თქვენი შეფასებით, რა უნდა იყოს ახალი პრემიერისა და მისი გუნდის უპირველესი ამოცანა?

— ძირითადი უნდა იყოს სამართლიანობის აღდგენის პროცესის გააქტიურება. ეს არის ხალხის მოთხოვნა. კარგად მესმის, რომ ეს საკითხი გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. პრობლემებია იმ კუთხითაც, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვეს ან შესაძლოა, საქართველოსთან დაკავშირებული არასასურველი ამბები გავრცელდეს, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა მაინც უნდა დაიწყოს.

დიფერენცირება უნდა მოხდეს იმ საქმეების, რომლებიც არის პროკურატურაში ქონების წართმევასთან დაკავშირებით, ადამიანების ციხეში გამწესებასთან დაკავშირებით, მაგალითად, იპოთეკასთან დაკავშირებით - ძალიან ბევრ ადამიანს იპოთეკური სესხი აქვს აღებული სწორედ იმიტომ, რომ მათი ახლობლები ციხეში უკანონოდ მოხვდნენ — დიფერენცირება უნდა მოხდეს და ცალ-ცალკე დაიწყოს ამ თემების რეალიზაცია — ეს რაც შეეხება პრობლემურ საქმეებს.

არის არაპრობლემური საქმეებიც, მაგალითად, ციხის ჯალათების საქმეები, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა და ამ ნაწილში სამართლიანობის პროცესის დაწყება და გააქტიურება არის აუცილებელი. ეს ადამიანები არ უნდა დადიოდნენ ქუჩაში და ზოგიერთი მათგანი არ უნდა ტრაბახობდეს იმით, რაც ციხეში ჩაიდინა პატიმრების მიმართ.

— გარდა ამისა, არსებობს ყოფილი ხელისუფლება, სააკაშვილის გუნდი, რომლის მიმართ საზოგადოებას აქვს ეჭვი, რომ ბევრი მათგანი შავ-ბნელ საქმეებში იყო გარეული. ბაჩო ახალაიას მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, არაფერი განსაკუთრებული, ყოველ შემთხვევაში, ხალხის მოლოდინის ადეკვატური არ მომხდარა, რაშია პრობლემა?

— ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით, საერთოდ, სასაცილო სიტუაციაში ვვარდებით, რა ბრალიც ბაჩო ახალაიას წაუყენეს, ამის მიღმა მისი ისეთი ბრალეულობაა ცნობილი, რომ გაოგნდებით. მაგალითად, ციხის ბუნტის ჩახშობა და 7 მიცვალებული, რომელიც მის კისერზეა.

— ამის თაობაზე გამოძიება არც დაუწყიათ, თუ დაიწყეს, შედეგები არ ჩანს. რა არის ამაში ამისთანა გამოსაძიებელი, არ ვიცი. შესაძლოა, გამოძიებაში დილეტანტი ვარ, მაგრამ იმდენი კი მესმის, რომ ასეთი საქმეები პრიორიტეტული უნდა იყოს, თუ დანაშაულის გამოძიება მართლა გინდა.

— ასეთი დანაშაულები ბაჩო ახალაიასაც აქვს და სხვებსაც. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ზეწოლა დასავლეთის მხრიდან, ასეთი მასობრივი დასჯები არ მოხდეს, მე მაინც ვერ შევეგუები და, ალბათ, ვერც საზოგადოება, რომ ადამიანებს შერჩეთ ის, რაც ჩაიდინეს. განსაკუთრებით, როდესაც ამას მოჰყვა მსხვერპლი — ადამიანები დახოცილი არიან - ციხის ბუნტის დროს, ციხეში გარდაცვლილები და 26 მაისის მოვლენების დროს დახოცილი ადამიანები! არ მესმის ეს როგორ უნდა შერჩეთ.

— მეორე მხრივ, დასავლეთიდან მუდმივად კეთდება აპელირება, რომ საქართველოში შეიძლება დაიწყოს პოლიტიკური შურისძიება...

— რა პოლიტიკურ შურისძიებაზეა ლაპარაკი? მე არ ვლაპარაკობ იმაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პოლიტიკური დანაშაული რომ ჩაიდინეს, წლების განმავლობაში არჩევნების ტოტალური გაყალბება რომ ხდებოდა - ამაზე არ ვლაპარაკობ! ესეც დანაშაულია, მაგრამ მე ვლაპარაკობ დანაშაულებზე, რომლებსაც კონკრეტული მსხვერპლი მოჰყვა, რომლის დროსაც ციხეში უდანაშულო ადამიანები ისხდნენ!

უამრავი სხვა ფაქტია ამდაგვარი, რასაც შეეწირა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება. რა პოლიტიკურ დევნაზეა ლაპარაკი, თუ არ შეგვიძლია დასავლეთს ან ნებისმიერს ავუხსნათ რა განსხვავებაა კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის იმ ნაწილში, რომელიც პოლიტიკას ეხება და იმ ნაწილში, რომელიც სამართალს ეხება, მაშინ არ ყოფილა გამოსავალი.

— საკმაოდ საინტერესო ფაქტი მოხდა რამდენიმე დღის წინათ, სააკშვილის საფრანგეთში ვიზიტისას. გავრცელებული ინფორმაციით, სააკაშვილის ვიზიტის მიზანი იყო საფრანგეთის ტერიტორიაზე დაპატიმრებული კეზერაშვილის გადარჩენა და ადვოკატურაში გადაბარგებულ სარკოზისთან შეხვედრა სწორედ ამ საკითხში დასახმარებლად სჭირდებოდა...

— ჩემთვის ცნობილია, რატომაც დაიბარა უგულავა და თაქთაქიშვილი სააკაშვილმა პარიზში. ისინი წავიდნენ იმიტომ, რომ გაერკვიათ იმ თანხების მდგომარეობა, რაც გადარიცხულია ოფშორულ კომპანიებში, რომლის ხაზინადარი, შემნახველი და პარტონი იყო კეზერაშვილი.

კეზერაშვილის ექსტრადიცია მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია, ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საფრანგეთის მთავრობამ კეზერაშვილის ექსტრადიცია არ მოახდინოს და წაუყენოს ბრალი, რომელიც მის მოქმედებას ეხება ევროპულ სივრცეში, ანუ ლაპარაკია მის უკანონო ქმედებებზე ავღანეთის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, ლაპარაკია მის მიერ იარაღით ვაჭრობაში უკანონო მონაწილეობაზე, რომელიც საქართველოს ეხება, მაგრამ ტრანსევროპული დანაშაულის ფორმატში შეიძლება განიხილებოდეს. კეზერაშვილი საქართველოში არ უნდა ჩამოუშვან — ეს არის სააკაშვილის მთავარი ამოცანა.

— როდესაც დასავლეთი ერთმნიშვნელოვნად აპელირებს პოლიტიკურ დევნასა და პოლიტიკურ შურისძიებაზე, ამ დროს კი სააკაშვილის მთავრობის თავდაცვის მინისტრი, იარაღის უკანონო ვაჭრობასა და ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი, ამ ყველაფერს რა შეფასება მიეცმა, შეიძლება, საქართველო საერთაშორისო სკანდალში გაეხვეს?

— იქნება თუ არა სკანდალი საერთაშორისო დონის, არ ვიცი — სკანდალი ისედაც შეიქმნა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კეზერაშვილი იყო თავდაცვის მინისტრი, როდესაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მასალები იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებ, სადაც საქართველო და მისი თავდაცვის მინისტრი ფიგურირებდა. შეიძლება გვარი და სახელი მოხსენიებული არ იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ასე იკვეთებოდა. ეს სკანდალი რაღაცნაირად ჩაფარცხეს. ახლა რაც ხდება, პრინციპში მართლაც სკანდალურია.

რა პოლიტიკურ დევნაზეა ლაპარაკი, თუ არ შეგვიძლია დასავლეთს ან ნებისმიერს ავუხსნათ რა განსხვავებაა კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის იმ ნაწილში, რომელიც პოლიტიკას ეხება და იმ ნაწილში, რომელიც სამართალს ეხება, მაშინ არ ყოფილა გამოსავალი.

კეზერაშვილი იმიტომ კი არ დააკავეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ასე მოითხოვა, იმიტომ დააკავეს, რომ მას კონკრეტული დანაშაული მიუძღვის, რომელიც ჩადენილია, ტრანსევროპული სამართლის თვალსაზრისით — ეს არის იარაღით უკანონო ვაჭრობა.

რაც შეეხება საქართველოს იმიჯს, დე მიადგეს ზიანი, მეორედ სხვა ხომ აღარავინ მოინდომებს ამის გაკეთებას?! ჩვენს იმიჯს შავი ლაქა რომ არ დააჩნდეს, ამიტომ არაფერი არ უნდა გავაკეთოთ?!

— თუ კეზერაშვილი საქართველოში ჩამოიყვანეს, რას ნიშნავს ეს სააკაშვილისთვის?

— ეს ნიშნავს, რომ ფინანსური სახსრების კულუარული მოძრაობა გახდება ნათელი. იმ თანხებზეა ლაპარაკი, რომელიც სააკაშვილის მთავრობამ საქართველოს ბიუჯეტიდან ქართველ ხალხს მოპარა და რომლის განმკარგავიც იყო კეზერაშვილი.

— თუ საფრანგეთში მოხდება კეზერაშვილის გასამართლება, სააკაშვილს შეუძლია, ბევრი კითხვა და პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს?

— მთლიანად პასუხისმგებლობას საკაშვილი ვერ მოიხსნის, მაგრამ ამ ნაწილში შეუძლია, უფრო მშვიდად იგძნოს თავი, იმიტომ, რომ ფრანგული თუ ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია კეზერაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული იმ ნაწილში, რასაც იარაღით ვაჭრობა ჰქვია. კეზერაშვილი ამას თავის თავზე აიღებს თუ სააკაშვილსაც ჩარევს, ეს არავინ იცის.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რამდენი ფული მოპარა საქართველოს ხალხს სააკაშვილმა კეზერაშვილის მეშვეობით, ეს უკვე შეიძლება მეათეხარისხოვანი თემა შეიძლება გახდეს ევროპელი სამართალდამცველებისათვის.

— რაც შეეხება საქართველოს, უკვე კონკრეტული თანხები სახელდება, რამდენი აქვს მოპარული სააკშვილს საქართველოსთვის. ითქვა, მაგალითად — 8 მილიარდი. აუცილებელია და უნდა დაიწყოს თუ არა კონკრეტულად ამ საკითხის მოკვლევა?

— წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს იმ ნაწილში, რა უსამართლობაში ამყოფებდნენ ხალხს და რამდენი უკანონო განაჩენი გამოუტანეს ადამიანებს. არ მაინტერესებს ის მოსამართლე და პროკურორები კოჰაბიტაციაში არიან დღევანდელ ხელისუფლებასთან თუ არა. ეს არის მთლიანად რეჟიმის დანაშაული, სადაც უპირველესი პაუხისმგებლობა, რასაკვირველია, სააკაშვილს ეკისრება, მაგრამ ამაში მთლიანად რეჟიმია დამნაშავე.

არის მეორე საკითხი, რომელიც ეხება ქართველი ხალხისთვის ფულის მოპარვას, რაშიც პირადად არის სააკაშვილი დამნაშავე, რომელმაც ეს სისტემა შექმნა და პირადადაც მონაწილეობდა ამ საქმეში. ამ საკითში პირდაპირ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დგას — ის არის ხაზინის ძარცვაში ბრალდებული ქართველი ხალხის მხრიდან.

— წინასაარჩევნო კამპანიისას გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ კოჰაბიტაცია დამთავრდებოდა არჩევნების დასრულებისთანავე. საზოგადოებაში სულ სხვა მოსაზრებაა — ხალხის უმეტესობა თვლის, რომ კოჰაბიტაცია, ანუ გარიგება და ვაჭრობა ძველ და ახალ ხელისუფლებებს შორის გრძელდება, რაშია პრობლემა?

— გიორგი მარგველაშვილმა რაც თქვა, ამაში იგულისხმებოდა, როგორც ჩანს, სხვა რამ. ის კოჰაბიტაციის ევროპული ფორმატის დასრულებაზე საუბრობდა. იგულისხმება, როდესაც პრემიერი ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, ხოლო პრეზიდენტი — სხვა პოლიტიკური ძალის. ასეთი ფორმატი იყო ევროპაში და კერძოდ საფრანგეთში — ეს დასრულდა საქართველოში. მაგრამ ხალხი გულისხმობდა სხვა რამეს — ხალხი გიორგი მარგველაშვილის სიტყვებს რომ ენდო, ენდო იმას, რომ ნაციონალებისთვის თავზე ხელის გადასმის დრო დამთავრდებოდა და ამას ითხოვს ახლა უკვე გიორგი მარგველაშვილისა და ხელისუფლებისგან. ამ თვალსაზრისით, ტენდენციებს, რომ ამ ტიპის „კოჰაბიტაცია“ დასრულდება, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ.

ლალი ზირაქიშვილი

„ივანიშვილსა და მის მომხრეებთან დაპირისპირებას ვერავინ გაბედავს“

მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე არა მხოლოდ ოპოზიცია, არამედ თავად საპარლამენტო უმრავლესობაც საუბრობს. როგორც უმრავლესობის დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, როდესაც ქვეყანაში ახალი პრემიერი მოდის, ბუნებრივია, მთავრობაში გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს. მისივე შეფასებით, არჩილ კბილაშვილის მიერ პოსტის დატოვება მომავალი ცვლილებების ნიშანია.

„ვფიქრობ, სხვა ადამიანებიც დატოვებენ თანამდებობას და ახალი პრემიერიც რამდენიმე ადამიანს გაათავისუფლებს და ეს არ იქნება მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები. ყველას თავისი მუშაობის სტილი აქვს და ცდილობს, შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც უკეთესად შეძლებს მუშაობას“, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული სამთავრობო ცვლილებები, მოახდენს თუ არა მასზე რაიმე ზეგავლენას კულუარებში გავრცელებული ინფორმაცია, კოალიციაში არსებული დაპირისპირების შესახებ და საერთოდ, როგორი პოლიტიკური წელიწადი გველოდება, ამ თემაზე ექსპერტი მაშა ბერიძე გვესაუბრება.

– ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე, კოალიციის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე, როგორ ფიქრობთ, რა პრინციპის გათვალისწინებით შეირჩევა ახალი მთავრობა?

– ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მთავრობაში არ იქნება, იმდენად, რამდენადაც ამ ცვლილებების პოლიტიკური წინაპირობები არ არსებობს. ზოგადად, სამთავრობო ცვლილებებს განაპირობებს ორი ფაქტორი: პირველი – რა მოთხოვნებითა და კრიტერიუმებით აფასებს ამა თუ იმ მინისტრის საქმიანობას საზოგადოება და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში – ბიძინა ივანიშვილი, რომელიც სულ მცირე, 24 ნოემბრამდე მაინც იქნება ყველა სამთავრობო ცვლილების ინიციატორი ირაკლი ღარიბაშვილთან შეთანხმებით.

ის კრიტერიუმები, რომელსაც საზოგადოება უყენებს მინისტრებს, ჩემი აზრით, საკმაოდ დაბალია და აქედან გამომდინარე, არ არსებობს რაიმე არსებითი ცვლილებების მოლოდინი. მეორე - ეს ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეული კაბინეტია და ბუნებრივია, მას და მის მემკვიდრეს, ირაკლი ღარიბაშვილს არ შეიძლება, რაიმე არსებითი ხასიათის პრეტენზიები და კრიტერიუმები ჰქონდეთ, რომელსაც ესენი ვერ აკმაყოფილებენ.

აქედან გამომდინარე, ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თუმცა, სულ სხვა რამ არის პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი.

რაც შეეხება კოალიციის შიდა დინებებს, მოხდება თუ არა მისი გათვალისწინება? ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ალასანიასა და ღარიბაშვილს შორის დაპირისპირებას, შესაძლოა, ალასანიას პოსტიც შეეწიროს, თუმცა, ღარიბაშვილმა ამასთან დაკავშირებით უკვე გააკეთა განცხადება, რომ ალასანიაც და წულუკიანიც მთავრობაში რჩებიან...

– ძალიან კარგია, რომ ასეთი განცხადება გაკეთდა, თუმცა, დაპირისპირების თაობაზე ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ, რომ დაპირისპირებას გუნდის, კოალიციის ან მთავრობის შიგნით სჭირდება ორი მხარე და ორ მხარეს მე ვერ ვხედავ.

– ეს არის ერთიანი გუნდი, რომელიც შეკრებილია ბიძინა ივანიშვილის ხედვის და ნების შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ვერავინ გაბედავს და ვერც შეძლებს, ამ ეტაპზე ივანიშვილთან და მის მომხრეებთან დაპირისპირებას, ძალიანაც რომ მოუნდეს.

ამიტომ მჯერა, რომ ალასანია დარჩება გუნდში, თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე იმდენად, რამდენადაც ის თავდაცვის უწყებას ხელმძღვანელობს, ხოლო ჩვენს დასავლელ მოკავშირეებს ძალიან აწყობთ და ხელს აძლევთ, რომ სწორედ ირაკლი ალასანია ხელმძღვანელობდეს თავდაცვის უწყებას. სხვა კანდიდატურა მათთვის ამ ეტაპზე მიუღებელია. ალასანიას მიმართ დასავლეთის ნდობა, მიმაჩნია, არის საკმაოდ სერიოზული ფაქტორი საიმისოდ, რომ მთავრობაში მან თავისი ადგილი შეინარჩუნოს.

– როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ის უამრავი მითქმა-მოთქმა, რაც ალასანიას ირგვლივ ისმის? ისიც კი ითქვა, რომ კოალიცია ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთია ალასანიას გუნდი – მეორე ივანიშვილ-ღარიბაშვილის...

– გამორიცხულია, ამას სჭირდება შესაბამისი ბეგრაუნდი, მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, რაც მთავარია, შესაბამისი ფინანსური რესურსი. კარის ინტრიგებამდე ამ თემის დაყვანა წარმოუდგენლად მიმაჩნია, ირაკლი ალასანია იმდენად გონიერი ადამიანია, რომ ის ავანტურას არასდროს წამოიწყებს. მან შეიძლება ვერ გათვალოს, მაგალითად, როცა თბილისის მერად იყრის კენჭს, რატომ უნდა მიულოცოს უგულავას გაყალბებულ არჩევნებში გამარჯვება – ასეთი შეცდომები მას ახასიათებს, მაგრამ საკმაოდ პრაგმატული და გამოცდილი პოლიტიკოსია საიმისოდ, რომ ამ ეტაპზე რაიმე დაპირისპირება გააჩაღოს ივანიშვილის გუნდთან, კოალიციის შიგნით ან მთავრობაში.

– დაპირისპირებაზე საუბარი შეიძლება შედიოდეს სხვა პოლიტიკური ძალის, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესში? ასეთი აქცენტებიც კეთდებოდა ნაციონალების მხრიდან, რომ ახალი მთავრობიდან მხოლოდ ალასანია მოსწონთ...

– კაცმა რომ თქვას, ალასანია რომ მოსწონდეთ ნაციონალებს, ამაში ვერაფერს ვხედავ უცნაურს, იმიტომ, რომ ალასანია სერიოზული ფიგურა და გამოცდილი პოლიტიკოსია. თუმცა, რა თქმა უნდა, ინტრიგაც რომ დათესონ, შური და უნდობლობა „ქართული ოცნების“ რიგებში, ესეც არ არის გასაკვირი. თუმცა ნაციონალებს პოლიტიკაში თამაშის ძალზე მცირე შანსი აქვთ, ეს უფრო ინერციაა, ვიდრე ოფიციალურად აღიარებული ოპოზიციური ძალის, როგორც ხელისუფლების რეალური ალტერნატივის, გააზრებული სტრატეგია.

– მთლიანობაში ამ ერთი წლის განმავლობაში ივანიშვილის მთავრობის მუშაობა როგორ შეგვიძლია, შევაფასოთ, სად იყო პლუსები და სად მინუსები?

– ივანიშვილის მთავრობამ, ჩემი აზრით, ამ ერთი წლის განმავლობაში გააკეთა ის, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო. პრაქტიკულად, მაქსიმუმი, რადგან გარდამავალი პერიოდი ავტორიტარიზმიდან დემოკრატიულ საზოგადოებაზე არის რთული და მძიმე. მათ საკმაოდ საინტერესო და რეალური სოციალური პროგრამები განახორციელეს, იგივე საყოველთაო ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობის ფონდი, სოფლის დახმარების პროგრამა, სხვა ინსტიტუციონალური რეფორმები და ა.შ. მიმაჩნია, რომ პირველი წელი „ქართული ოცნების“ მთავრობისთვის იყო წარმატებული.

სხვა მომენტია – როდესაც უნდა დამთავრებულიყო საინვესტიციო შიმშილის პერიოდი, გამოწვეული იმით, რომ მოვიდა ახალი ხელისუფლება და დაწყებულიყო კაპიტალის შემოდინება, ამ დროს ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა ყველასათვის მოულოდნელი და ქართველი ხალხის უმეტესობისთვის მიუღებელი სვლა. ის წავიდა პოლიტიკიდან, მთავრობიდან და ამით გაახანგრძლივა გარდამავალი პერიოდი – უმეფობის, გნებავთ, უხელისუფლობის ხანა, როცა სიმყარე გამოეცალა ახალ ხელისუფლებას. ის სირთულეები, რომელიც ამ ეტაპზე აქვს ჩვენს ქვეყანას, ამ ფაქტორით არის გამოწვეული.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური ფაქტორი პოლიტიკურ პროცესებზე აქტიურად ზემოქმედებს და გარკვეულწილად განაპირობებს იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომელიც ამ პროცესებს თან ახლავს. ასე რომ, მე შევაფასებ მთავრობის საქმიანობას დადებითად, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ახალი ადამიანი იყო, როგორც სახელმწიფო დონეზე მართვაში, ისე პოლიტიკაში. ვფიქრობ, ასევე არასასურველია, რომ ასეთი ადამიანები იყვნენ მთავრობაში წარმოდგენილი.

– როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია მთავარი პროკურორის გადადგომა. ეს იყო მთავრობის მითითება თუ ეს იყო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება კბილაშვილის მხრიდან, იმის გამო, რომ ბევრი კრიტიკა ისმოდა სწორედ პროკურატურის მუშაობის მიმართ?

– ვფიქრობ, რომ ეს იყო როგორც კბილაშვილის გადაწყვეტილება, ისე გუნდის ვერდიქტი, იმდენად, რამდენადაც კბილაშვილს სთხოვდნენ შიშველი ხელებით ცათამბჯენის აშენებას, ანუ ძველი პროკურატურის კადრებით სასამართლოზე ნაციონალების განეიტრალებას – კბილაშვილს ევროპულ დონეზე უნდა მოემზადებინა საქმეები და მიემართა ისინი სასამართლოში, რომელიც ან სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდა ან არა. მრავალი გახმაურებული საქმე რომელზეც საზოგადოების უმეტესობას ჰქონდა მოლოდინი, რომ გაიხსნებოდა, სხვადასხვა მიზეზით არ გაიხსნა. ამან შექმნა წინაპირობა, რომ გადამდგარიყო კბილაშვილი, რომელიც ჩემი აზრით, არის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წესიერი, კომპეტენტური და კარგი მთავარი პროკურორი.

– კბილაშვილის საკითხის გააქტიურება მთავრობაში საზოგადოების მოთხოვნითაც ხომ არ იყო განპირობებული – ყველა ელოდა სამართლიანობის აღდგენას, რომელმაც დაგვიანა... თუ პროკურატურის მუშაობას ეფექტურობა მართლაც აკლდა...

– პროკურატურის მუშაობას ეფექტურობა მართლაც აკლდა, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ გახმაურებული საქმეების დაუმთავრებლობის გამო იყო მიღებული ასეთი გადაწყვეტილება, უბრალოდ, არ არსებობდა გარემოებები, რომ ეს საქმეები ოპერატიულად და კვალიფიციურად გამოძიებულიყო. მეტსაც გეტყვით, მე ვერ ვხედავ კბილაშვილის მინისტრობისდროინდელ ვერანაირ ბრალეულობას.

– რა განცდა გიჩნდებათ, როგორი მთავარი პროკურორი იქნება ეფექტური საქართველოსთვის, უკვე დასახელდა ამ პოსტზე ირაკლი ფარცხალაძის კანდიდატურა, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსად...

– სამწუხაროდ, ბატონი ფარცხალაძის საქმიანობის შესახებ ბევრი არაფერი მსმენია, თავისთავად იგულისხმება, რომ ის არის ბიძინა ივანიშვილის იმ მჭიდიდან, რომელსაც ის დროდადრო გამოამზეურებს-ხოლმე. ამიტომ ვერ გეტყვით როგორი მთავარი პროკურორი იქნება.

ახლა საქართველოს მთავარ პროკურატურას სჭირდება რეფორმატორი ადამიანი, რომელიც შეკრავს ახალ პროკურატურას ძლიერი, ჯანსაღი და ახალი კადრებით და შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოების მოთხოვნას დააკმაყოფილებს სამართლიანობის აღდგენის კუთხით. მინდა შევნიშნო, რომ სამართლიანობის აღდგენა ძალიან რთული და ძნელი ამოცანაა, ეს არ არის ერთ დღეში გადასაწყვეტი, მას სჭირდება შემოქმედებითი მიდგომები, სიახლის ძიების მომენტები. და მაინც, მიმაჩნია, რომ თუ ნელი ტემპით მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენა, ეს პოლიტიკური ნების არასაკმარისი დონის შედეგია.

– როგორ მუშაობას მოელით ღარიბაშვილის მთავრობისგან, იქნება თუ არა ერთიანი გუნდი, რომელიც დემოკრატიული გზით წაიყვანს ქვეყანას – გაამართლებს თუ არა ღარიბაშვილის მთავრობა?

– მიმაჩნია, რომ ღარიბაშვილი არის კარგი კანდიდატურა მთავრობის მეთაურის პოსტზე და იმედი მაქვს, რომ გაამართლებს. რაც შეეხება მთავრობას, მის საქმიანობას ბევრი გარემოება განსაზღვრავს და ძალიან ძნელია, რომ ამ თემებზე კონკრეტულად ვისაუბროთ.

მთავარი ამოცანა ქვეყნის წინაშე ეს არის ეკონომიკის აღორძინება, რომლის გარეშეც ვერ გადაიჭრება ვერც ერთი სოციალური პრობლემა. ახლა მთავარია, ეკონომიკურმა გუნდმა საკმაოდ ეფექტურად იმუშაოს და ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა, რომელიც მთავრობის ნებისმიერი მეთაურის და სამთავრობო გუნდის საქმიანობას მნიშვნელოვანწილად ართულებს. ახლა მთავარია, როგორ ეკონომიკურ კონცეფციას დადებს დღევანდელი მთავრობა და როგორ იმუშავებს მოკარნახის გარეშე.

– მოკარნახეში ვის გულისხმობთ?

– ბიძინა ივანიშვილს. ბუნებრივია, აქამდე დამოუკიდებლად მიიღებოდა გარკვეული გადაწყვეტილებები, მაგრამ ძირითადად ისინი გამომდინარეობდა ივანიშვილის ხედვიდან, სტრატეგიიდან, ტაქტიკიდან და მიდგომებიდან. ახლა ჩვენ ამერიკელები გვეუბნებიან, რომ არაუფლებამოსილი პირი არ უნდა აკონტროლებდეს მთავრობას.

აქედან გამომდინარე, დასავლეთის მოთხოვნით, ივანიშვილი რეალურად უნდა გავიდეს პოლიტიკიდან. არადა, ამის რეალური განხორციელება ივანიშვილის ნების არსებობის პირობებშიც კი ძალიან რთული იქნება.

უნდა დავუშვათ, რომ ივანიშვილი რეალურად გავა პოლიტიკიდან და ცხოვრების პირისპირ დარჩებიან ახალი მთავრობის წევრები, ახალი პრეზიდენტი, ძველი პარლამენტი და მისი თავმჯდომარე. საპარლამენტო მმართველობის სუროგატის შემოღების პირობებში, როდესაც ივანიშვილი კი არ უკარნახებს, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, არამედ ხელისუფლების შტოებმა უნდა იმუშაონ დაბალანსებულად შეთანხმებულად და დამოუკიდებლად - ეს უძნელესი მგონია და გარკვეული სკეპტიციზმი მაქვს ამგვარი სიტუაციის მიმართ, მოსალოდნელი შედეგების გამო.

– რატომ?

– ძალიან რთული იქნება გამოუცდელი პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის პირობებში პოლიტიკური პროცესის მართვა, მით უმეტეს, რომ ამ არჩევნებმა, საპრეზიდენტომ, გარკვეულწილად მოხსნა პარლამენტის ლეგიტიმაციის პრობლემა. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით, ის მაინც რჩება სუსტად, რამდენადაც პოსტსაკაშვილისეული პოლიტიკური კონიუქტურა ჩამოყალიბდა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით და აქედან გამომდინარე, ამ სიტუაციის ლეგიტიმაციას სიმყარე და ხარისხი აკლია.

ასეთ პირობებში თავს იჩენს გარკვეული წინააღმდეგობები თუ არა, გარკვეული დაპირისპირებები, შეუთანხმებლობა და კოორდინაციის ნაკლებობა.

– ანუ საინტერესო, ინტრიგებით აღსავსე პერიოდი გველოდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე...

– ინტრიგები პოლიტიკის პურია და ბუნებრივია, ქართველები ანგელოზები არ არიან. იქნება ეს მომენტიც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ინტრიგებიც ძალიან მარტივია ამჟამინდელ საქართველოში. რა გვაქვს? – ოდიოზური ძალა, სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, საზოგადოებაში გადასული ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ფიგურა და ახალბედა პოლიტიკოსები – ქვეყნის მართვის სადავეებთან – ძალიან საინტერესო კალეიდოსკოპი ყალიბდება.

ესაუბრა

ლალი ზირაძიშვილი

ვარიაციები პრეზიდენტის სასახლის თემაზე

„მიშანი წავლენ-წამოვლენ, დარბაზნი დარჩებიანო“...

თანამედროვე სტილიზებული ანდაზა

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მრავალ გადასაწყვეტ პრობლემათა რიგს კიდევ ერთი საკითხი შეემატა: **რა ვუყოთ ავლაბარში მდებარე პრეზიდენტის სასახლეს?!** ახლადარჩეული პრეზიდენტი იქ ყოფნას არ აპირებს, სასწრაფოდ რემონტდება აშშ-ის ყოფილი საელჩოს შენობა, რომელშიც უნდა განთავსდეს საქართველოს ახალი პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია. ძველ, ავლაბრის რეზიდენციაში, როგორც პრესაში ითქვა, აპირებენ ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსებას. ამ პომპეზურ შენობას მთხოვნელები სხვა მხრიდანაც გამოუჩნდნენ: ერთნი მასში ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის განთავსებას ითხოვენ, მეორენი — მუზეუმის გახსნას; სხვანი — „საქართველოს სახლის“ ფუნქციის მინიჭებას და ა.შ.

გამოეხმაურა ამ საკითხს თავად საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც. მისი სიტყვებით, ეს სასახლე აშენდა, როგორც პრეზიდენტის რეზიდენცია და იგი უკვე დიდი ისტორიული ტრადიციის მატარებელია, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მთელი მთავრობა იქ იმყოფებოდა... საქართველოს მხარდასაჭერად თბილისში ჩამოსული მსოფლიო ლიდერები ამ შენობაში მართავდნენ პრესკონფერენციებს... ქვეყანას სჭირდება სიმბოლოები. ამ შენობიდან პრეზიდენტის სასახლის გასახლება სახელმწიფოებრიობის შესუსტებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებაო.

ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის სიტყვის ცალკეულ აქცენტებსა და ემოციურობას თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, მთლიანობაში შეიძლება დაეთანხმო კიდეც. ეს ის შემთხვევაა, როცა ამბობენ: „გაჩერებული საათიც კი დღე-ღამეში ორჯერ აჩვენებს ზუსტ დროს“.

თუმცა, ვფიქრობ, აქ მხოლოდ „გაჩერებული საათის ეფექტი“ არ მუშაობს. — ეს „იგივე სააკაშვილია“, რომელმაც, როცა დასჭირდა, უცხოელ ჟურნალისტთან დაკარგული ტერიტორიები სულ „რამდენიმე სოფლად და ქვების გროვად“ გაასაღა, ხოლო სახელმწიფო სიმბოლოებისადმი „პატივისცემის ნიშნად“ პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე „ნაციონალების“ პარტიული დროშა ააფრიალა... ვფიქრობ, მისი პატრიოტული პათეტიკის მიღმა პირადი პოლიტიკური ანგარება, თავისი „მიკრო“ ნარცისული ოცნება“ იმალება: დაბრუნდეს ხელისუფლებაში და ისევ ამ შენობაში „დაივანოს“...

ამის გათვალისწინებით, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სააკაშვილს „დასაბრუნებელი სიმბოლო“ კი არ უნდა მოუშალოს, არამედ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა აწარმოოს, რომელიც მოსახლეობას სააკაშვილს გადაავიწყებს და ამ უკანასკნელის პოპულარობას მინიმუმამდე დაიყვანს. ეს კი ეფექტურ მმართველობასა და ხალხის კეთილდღეობის არსებით ზრდაზე გადის.

დიახაც, ხალხზე რეალური ზრუნვა პრეზიდენტის სასახლის უმაღლესი სასწავლებლისათვის ან მუზეუმისათვის გადაცემა კი არ იქნებოდა, არამედ მმართველობის იაფი და ეფექტური სისტემა, მიმდინარე, მათ შორის წარმომადგენლობითი ხარჯების საგრძნობი შემცირება და, რაც მთავარია, მაღალი მაკროეკონომიკური შედეგების, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ვიმეორებ — **ხალხის კეთილდღეობის არსებითი ამაღლება**. ოღონდ ამ მხრივ ივარგოს, „ივაჟკაცოს“ მთავრობამ, გაამართლოს ამომრჩეველთა ნდობა, იმედები და პრეზიდენტის სასახლის „ფეშენებელურობას“ და ძვირფას აპარტამენტებს ხალხი „როგორმე გადაიტანს“. და თუ ამას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხრივ რეალური წინსვლაც მოჰყვება, მაშინ ხომ...

ამბობენ, თავის დროზე ქუთაისის „ტორპედოს“ პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგში გადასვლის მცდელობის წახალისება ქუთაისელმა მემწვანილეებმა ერთ ტევად, ხუმრობანარევ და მახვილგონივრულ ფრაზაში გამოხატეს: *ოღონდ თქვენ გადადით უმაღლეს ლიგაში და ტარხუნას დაგირგავთ სტადიონზეო...*

მართალია, პრეზიდენტის სასახლის აშენება იგავმიუწვდომლად ძვირი დაჯდა, მაგრამ რახან გაკეთდა, ახლა „შეირგოს“ ახალმა ხელისუფლებამ და გამოიყენოს, მაგრამ იმ „ერთადერთი“ პირობით, რომ მართვის სააკაშვილისეულ, ანტიდემოკრატიულ სტილს არ გადმოიღებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანში „კოლხეთის ცისკარი“ ერთი საგულისხმო ეპიზოდია: ელიბო მჭედლის საწნახელში ყურძნის დასაწურად ჩასვლამდე მასპინძლები „სოფლის გლახა“ დახუნდარა ტურაბელიძის ფეხებზე საპნისა და წყლის უშურველად დახარჯვის მიუხედავად, მისი წვივების ჟანგისფერსა და კოჟრებს ვერაფერს უხერხებენ. მაგრამ ყურძნის კლერტები საწნახელში ჩასულ დახუნდარას კოჟრებსა და წვივებში გამჯდარ გოჯიჯს მოაცილებს და მის ფეხებს ბუნებრივ, თეთრ ფერს დაუბრუნებს. ასეთი „მეტამორფოზით“ დაზაფრული დიასახლისი ქმარს დახუნდარას გაგდებას სთხოვს. მისგან განსხვავებით, ოჯახის უფროსი ფილოსოფიურად აფასებს სიტუაციას და ცოლს აწყნარებს: „ანგარიშის საქმეა, დედაკაცო. ფეხები ხომ ჩაიბანა ტკბილში და ბარეღამ დაწუროს მეორე საწნახელიც“.

ჩემი აზრით, დაახლოებით ასეთ მიდგომას საჭიროებს პრეზიდენტის სასახლეც. — თავის დროზე მისი აშენება საკმაოდ დიდი, გაუმართლებელი ფუფუნება იყო ღარიბი ქვეყნისთვის. ვიდეოკადრებზე შემორჩენილია დიდწილად ამერიკელთა დახმარების იმედზე მყოფი საქართველოს პირველი პირის რეზიდენციის ამგვარი სიმდიდრის დანახვით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენისა და სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის შეცბუნებული სახეები. მაგრამ ახლა როგორ მოვიქცეთ: უკვე აშენებულზე უარი ვთქვათ და ისეთი დანიშნულებით გამოვიყენოთ, რომელიც არაფრით ეწერება შენობის სტილში, არქიტექტონიკასა და მასშტაბებში?! იქნებ, ჯობს უკვე აშენებული „შევირგოთ“ და გავაგრძელოთ პირვანდელი დანიშნულებით გამოყენება?! დახუნდარას „გათეთრებული ფეხებისა“ არ იყოს, *რახან აშენებულია, ბარეღამ მოვიხმაროთ!..*

თავის დროზე მისი აშენება საკმაოდ დიდი, გაუმართლებელი ფუფუნება იყო ღარიბი ქვეყნისთვის. ვიდეოკადრებზე შემორჩენილია დიდწილად ამერიკელთა დახმარების იმედზე მყოფი საქართველოს პირველი პირის რეზიდენციის ამგვარი სიმდიდრის დანახვით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენისა და სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის შეცბუნებული სახეები.

აღნიშნულ მიდგომას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ეს შენობა არაფრით გამოადგება უმაღლეს სასწავლებელს. შენობას, სადაც აკადემიური პროცესი უნდა წარიმართოს, სხვა ტიპის არქიტექტონიკა და მასშტაბები სჭირდება. ამასთან, მისთვის აბსოლუტურად ზედმეტია დაცვისა და უსაფრთხოების ის სისტემები, რაც პრეზიდენტის სასახლეს აქვს. აქ, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის სასახლე სასწავლო დაწესებულების შენობად არ გამოდგება, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც **ქართულ-ამერიკული** უნივერსიტეტი, ესეც ამ ქვეყნისადმი „ლატენტური პიეტეტის“ (უბრალო ენაზე ამას სხვა სიტყვა ჰქვია) გამოხატულება ხომ არ არის?!

რა თქმა უნდა, ქვეყანას სჭირდება თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი შენობები უნივერსიტეტებისათვის, უმდიდრესი ქართული ხელნაწერებისათვის, ისევე, როგორც ხელოვნების მუზეუმებისათვის, ბევრი სხვა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ფუნქციური დანიშნულების ობიექტისათვის, რომლებიც დღემდე შეუფერებელ და ავარიულ შენობებში იმყოფებიან.

ამისათვის სახელმწიფომ სახსრები არ უნდა დაიშუროს.

მაგრამ სანამ სახსრებს გამოყოფს, ჯერ საამისო შემოსავლები უნდა ჰქონდეს. აი, **წლევანდელი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულებას მგონი, იმაზე მეტი აკლდება, რამდენიც ქუთაისის პარლამენტის მშენებლობაზე დაიხარჯა, ან იმდენი, რამდენიც თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის მუზეუმს, რამდენიმეათასიან მაყურებელზე გათვლილ საკონცერტო დარბაზს და ხელნაწერთა ინსტიტუტის შენობებს ერთად რომ ეყოფოდა..**

აქცენტი გადანაწილების ნაცვლად ეკონომიკის ზრდაზეა ასაღები. თუ **გადანაწილებაზე** მიდგა საქმე, იქნებ, პირველ რიგში, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეული, მართლაც რომ გადანაწილებული ქონების კანონიერ მფლობელებისათვის დაბრუნებაზე გვეფიქრა?!..

ისე, თუ რამეს სტატუსი და დატვირთვა უნდა შეეცვალოს, „გადანაწილდეს“, ეს ქუთაისში მდებარე პარლამენტის ახალი შენობის სამომავლო ფუნქციაა.

იმედია, მოქმედი პარლამენტი შეძლებს უახლოეს დღეებში კონსტიტუციური უმრავლესობით პარლამენტის თბილისში დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებას და ამით დამთავრდება *„ქართული პარლამენტარიზმის „ავინიონის პერიოდი“*... შესაბამისად, სულ მალე მთელი სიმწვავით დადგება საკითხი: **რა ვუყოთ შენობას, რომელიც 360 მილიონი ლარი დაჯდა და სრულ კონდიციამდე დღემდე არცაა მიყვანილი?!** მას, პარლამენტის თბილისში გადასვლის შემდეგ, უნდა მოეძებნოს სოლიდური დატვირთვის, ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სერიოზული იმპულსების მიმცემის ფუნქცია.

ამ კუთხით, ვერც ეს შენობა გამოდგება უმაღლესი სასწავლებლისა და, მით უფრო — მუზეუმისათვის. პერსპექტიულ ნაბიჯად უფრო გვესახება **მისი გაჩუქება ან სიმბოლურ, ერთ ლარად (ან დოლარად) მიყიდვა რომელიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციისათვის.** რატომ არ შეიძლება **დავიწყოთ მოლაპარაკება, მაგალითად, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან** (Organization of Black Sea Economic Cooperation - BSEC) **მისი შტაბ-ბინის სტამბოლიდან ქუთაისში, პარლამენტის ამჟამინდელ შენობაში გადმოტანის თაობაზე?!** ბისეკის ორგანიზაციაში ნატოს, ევროკავშირის ან დსთ-ის წევრი ათი ქვეყანაა გაერთიანებული. **მეთერთმეტე და ერთადერთი ქვეყანა ამ ორგანიზაციაში, რომელიც არც ნატოს, არც ევროკავშირისა და ა(ღა)რც დსთ წევრი არ არის, საქართველოა!** ამ ასპექტით, უპრიანიც კი იქნებოდა რომ სწორედ მის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს იმ ორგანიზაციის შტაბ-ბინა, რომელიც შავიზღვისპირეთის (ფართო გაგებით) ქვეყნებს აერთიანებს. ეს ორგანიზაცია პერიოდულად მართავს სამთავრობათაშორისო შეკრებებს, ახდენს სამეწარმეო ინიციატივების კოორდინაციას, მუშაობს რეგიონული აკადემიური ქსელის შექმნაზე, ერთობლივი ფინანსური და სამეწარმეო პროექტების რეალიზაციაზე და ა.შ. მოკლედ, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, სტუმრებისა და დელეგაციების „მისვლა-მოსვლის“ ნაკლებობას არ განიცდის. თანაც, **არა მგონია, რომ სტამბოლში ბისეკის შტაბ-ბინას ქუთაისში პარლამენტის ამჟამინდელი შენობის მსგავსი ან მასთან რაიმენაირად მიახლოებული (სიდიდით) სამუშაო კაბინეტებით უზრუნველყოფილი შენობა ჰქონდეს.**

ბისეკის შტაბ-ბინის ქუთაისში განთავსება ხელს შეუწყობდა საქართველოს საერთაშორისო როლისა და ავტორიტეტის, მისდამი ნდობის ზრდას, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა იგი არსებული კონფლიქტების მოწესრიგებაშიც. ამ კუთხით პოლიტიკური სარგებელი იმდენად მნიშვნელოვანი და ქვეყნის უსაფრთხოებაში არაპირდაპირ განხორციელებული ისეთი ინვესტიცია იქნებოდა (გაცილებით ეფექტური, ვიდრე თბილისის გარშემო საეჭვო ღირებულების თავდაცვით ზღუდეებში „ჩაბეტონებული“ ექვსასი მილიონი ლარი), რომ ქართული მხარე არ უნდა მოერიდოს ბისეკის შტაბ-ბინის ქუთაისში გადასვლის შემდეგ გარკვეული ხნით (დაახლოებით 5-10 წლის განმავლობაში) ამ შენობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კომუნალური ხარჯების თავის თავზე აღებასაც...

თუ ეს იდეა განხორციელდა, აი, მაშინ ნახეთ უცხოელთა მოზღვავება ქუთაისში და მისი აეროპორტისა და სასტუმროების დატვირთვა... აღნიშნული იდეის რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდიდა ქუთაისის წონას, მნიშვნელობას არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც; დამატებით იმპულსებს შესძენდა საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ამბობენ, რომ **განსხვავება ბრძენსა და ჭკვიანს შორის ის არის, რომ ჭკვიანი მალე ასწორებს თავის შეცდომებს...** მთავრობის წევრები „რა? სად? როდის?“ გადაცემის მონაწილეები კი არ არიან, რომ მათი მხოლოდ ჭკუა და ინტელექტი გვაინტერესებდეს. მათგან, უპირველეს ყოვლისა, **ჭკვიანურ მოქმედებას და ამგვარი მოქმედების შედეგებს** მოველით. ამიტომაც არ მინდა, რომ ჩვენს ხელისუფლებას „კოლხეთის ცისკარის“ ელიბო მჭედელზე ნაკლები პრაგმატული დამოკიდებულება ჰქონდეს რეალობასთან. დიახ, სახელმწიფოს სჭირდება სიმბოლოები, ტრადიციები და ამ სიმბოლოებისადმი სათუთი, ამაღლებული დამოკიდებულება. მათ შორის, პრეზიდენტის სასახლისადმიც...

თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო რჩება და ვითარდება, როგორც სახელმწიფო-ინსტიტუტი და არ ტრანსფორმირდება სახელმწიფო-კორპორაციაში...

ჯერჯერობით კი... მრავალმილიარდიან ვალებწამოკიდებული და ეკონომიკური განვითარებით მსოფლიოს ქვეყნების მეორე ასეულში მყოფი სახელმწიფოს პრობლემად რჩება ბოლო წლებში მილიარდ ლარზე გაცილებით ძვირად წამოჭიმული ორი გრანდიოზული ნაგებობის განუჭვრეტელი მომავალი: პრეზიდენტის სასახლისა — თბილისში და პარლამენტის შენობისა — ქუთაისში.

თუმცა, განუჭვრეტელი მომავალი გაანა მხოლოდ დიდი შენობების ხვედრია?!...

იოსებ არჩვაძე,
2013 წლის ნოემბერი

◎ ᲓᲐᲢᲔᲠᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ

ᲐᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ

Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ დეპუტატები ნიშნის მოგებით აცხადებენ, რომ საქართველოს ეკონომიკა კრიზისშია, ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დანაპირები 6-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის შესრულება. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით ამჟამინდელი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი რეალობას არ გაურბის და წინამორბედთა მსგავსად ციფრებით არ მანიპულირებს და მოსახლეობა შეცდომაში არც შეჰყავს. ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ღიად აცხადებს, რომ, სამწუხაროდ, 6-პროცენტიანი ზრდის პროგნოზი ვერ შესრულდება და აღარც 4-პროცენტიანი ზღვარია რეალური. ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის მინისტრის განმარტებით, ახალი სამიზნე 3-პროცენტიანი მინიმუმის შესრულებაა. კვირიკაშვილი არც უმცირესობის წევრის ზურაბ მელიქიშვილის გამონათქვამს აღიქვამს მწვავედ, რომ წინა თვის ანგარიშის მიხედვით შემოსავლებში 350-მილიონიანი გარღვევაა. პასუხად მინისტრი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეკონომიკური ზრდის შემცირება მსოფლიო პრობლემაა და არა მხოლოდ საქართველოსი. რამდენიმე დღის წინათ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროგნოზი კიდევ ერთხელ დაწია.

რაც შეეხება გარღვევებს შემოსავლებში, ექსპერტთა, სპეციალისტთა, ეკონომისტთა განმარტებით, როგორც ჩანს, წინა ხელისუფლებას ბიუჯეტში ციფრებით მანიპულირების გარდა, ჰქონდა შემოსავლების სხვა წყარო. რადგანაც ბევრი მსხვილი პროექტის განხორციელებისას (მაგ. ქუთაისის პარლამენტი) საერთოდ არ ჩანს დაფინანსების წყარო. არ არსებობს ანგარიშფაქტურები. საქმეში ჩახედულნი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ საპროცესო გარიგებებიდან შემოსული დიდი ოდენობის თანხებს.

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ - ᲤᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲖᲒᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓ

ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲡᲝ შეთანხმება ზოგადად არის გარიგება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, რომლითაც პროკურორი ბრალდებულს თავს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში სთავაზობს, ვიდრე მას ჩვეულებრივი სასამართლო პროცესის გზით შეიძლება მოელოდეს. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი მთავრდება სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე. ეს შეთანხმება ბრალდებულს შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილოს იმ სასჯელის რისკი, რომელიც შეიძლება მას ჩვეულებრივი სასამართლოს გზით დაემუქროს.

ჩვენთან კი, როგორც იურისტები აღნიშნავენ, მსოფლიო ცივილიზებული მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფორმას — საპროცესი გარიგებას მანკიერი სახე მიეცა. ის სააკაშვილ-ადეიშვილის ხელში გადაიქცა პროკურატურის მთავარ იარაღად ბიუჯეტის შესავსებად. თუ ადვოკატი გამონახავდა საერთო ენას პროკურორთან, ბრალდებულის მიერ ჩადენილის სიმძიმის მიუხედავად, საქმეში ერთვებოდა ბიზნესგარიგება და მისი უდიდებულესობა ფული.

ნაციონალები მათთვის მიუღებელ ბიზნესმენს საკუთარი თავისა თუ ოჯახის წევრთა, ახლობლების გადარჩენისთვის ათმობინებდნენ წილებს, მიზერულ ფასად აყიდინებდნენ ქონებას. თუ გაყიდული ან ნაჩუქარი ბიზნესიდან მიღებული თანხა პროკურატურის მიერ დასახელებულ საპროცესო გარიგებაზე ნაკლები იყო, მეწარმეს აყიდინებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, თანხები ბიუჯეტში მიედინებოდა. ეკონომისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ **თუ არა საპროცესო გარიგებიდან შემოსული ფული, ბიუჯეტის შევსებას, შესაძლოა, სერიოზული საფრთხეები შექმნოდა.** ძირითადი ზეწოლა ბიზნესმენებსა და მეწარმეებზე ხდებოდა. ამ კატეგორიის ხალხისა და მათგან შემოსული თანხების რაოდენობა ასტრონომიული სისწრაფით მატულობდა. 2009 წელს საპროცესი გარიგებებით ბიუჯეტმა მიიღო 8 040 392 ლარი (აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით). 2010 წელს — 42 361 459 ლარი, 2011 წელს — 51 009 724 ლარი. მაგრამ აღზევებულებს აღარ დასცალდათ. 2012 წელს, მათ ბიუჯეტი მხოლოდ 38 627 587 ლარით შეივსეს ბიზნესმენებისგან.

IDFI-ს ინფორმაციით, საპროცესო გარიგებები უფორმდებოდათ სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩამდენთაც. ნიხრი განისაზღვრებოდა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. 4 წლის განმავლობაში საპროცესო განაჩენი ჯამში 52 402 ადამიანს გამოუტანეს.

პირველი ოქტომბრის შემდეგ როგორც **„ბიზნესმენი საქართველოში თავისუფალი ბიზნესისთვის“** კოორდინატორი **დავით ბეგიაშვილი** აცხადებს, ბოლო 9 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა ბიზნესმენის დაკავებისა და შემდგომ მისი საპროცესო გარიგებით გამოშვებისა. ბიზნესმა ამოისუნთქა და მუდმივი წნეხისგან განთავისუფლდა.

სპეციალისტთა დაანგარიშებით ათეულობით მლნ. ლარი ბიუჯეტს სწორედ ამის გამო აკლდება.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲧᲔᲜᲘᲐ

ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ მუქარები ბიზნესმენების მიმართ არ შეიმჩნევა. ელიტური კორუფცია თითქმის ამოიძირკვა. — ამბობს ბეგიაშვილი და იქვე პარალელს ავლებს — წინა ხელისუფლების პირობებში მიწის გადასახადიდან შესულ თანხაზე მეტი ბიზნესმენებთან საპროცესო გარიგებებით შემოსული ფულით ივსებოდა ბიუჯეტი.

„ბიზნესმენი საქართველოში თავისუფალი ბიზნესისთვის“ კოორდინატორი ამბობს, **რომ წინა პლანზე სხვა პრობლემებმა წამოიწია, კერძოდ, საქმე ეხება წინა ხელისუფლების დროს დაზარალებულ ბიზნესმენებს, რომელთა საკითხი დღემდე არ ექვემდებარება განხილვას. საქმოსანი ხალხი ელოდება მათი საქმეების გამოძიებასა და რეაბილიტაციას“,** — ასკვნის ბეგიაშვილი.

კოჰაბიტაციის ოღროჩოღრო გზაზე არსებობს გარკვეული მზადყოფნა, რომ წინა მთავრობის ფავორიტებთან ბიზნეს-კოჰაბიტაცია შედგეს. — ამბობს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **სოსო ცისკარიშვილი** და იქვე დასძენს, რომ ეს ხალხი დამფრთხალია დღევანდელი რეალობით. ცისკარიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, **როდესაც გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერი და მსახვრალ ხელთაგან მათი გამომხსნელი ივანიშვილი მიდის, ხოლო ბიზნესმენთა ამაოხრებელი და შემავიწროვებელი სააკაშვილი დაბრუნებას გეგმავს, ცხადია ბიზნესმენები აღარ აქტიურობენ, ბიზნესი დამუხრუჭებულია, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს,** — ასკვნის ეკონომიკის ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ

◎ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲡᲘᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე ესემეს შეტყობინება არ მისდიოდეს სხვადასხვა სამომხმარებლო შეთავაზებებით. აბონენტთა უმრავლესობა ასეთი გზავნილების მიმართ უკმაყოფილებას მეტად ემოციურად და უცენზურად გამოხატავს, მაგრამ ესემესის გამომგზავნ კომპანიებს ეს სულაც არ აღელვებთ. ისინი კვლავ განაგრძობენ მოკლე ტექსტური შეტყობინებების მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგზავნას და ამით კანონმდებლობასაც არღვევენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ სიაც კი გამოქვეყნა იმ კომპანიებისა, რომლებიც აბონენტთა ნერვებზე თამაშში არიან შემჩნეულნი. ორგანიზაცია მოუწოდებს კომპანიებს, იზრუნონ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვაზე, მაგრამ კომპანიები კვლავ განაგრძობენ ესემეს რეკლამების გზავნას, რითაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს არღვევენ.

კომპანიები სარგებლობენ იმ ფაქტით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი სრული ძალით მხოლოდ 2016 წელს ამოქმედდება და ინსპექტორს მხოლოდ მაშინ მიეცემა შემოწმების განხორციელებისა და სანქციების დაწესების უფლება.

„გვსურს, მოვუწოდოთ კომპანიებს პატივი სცენ კანონს, ასევე იზრუნონ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვაზე. სწორედ ამიტომ, შევაგროვეთ და ვაქვეყნებთ იმ კომპანიათა სიას, რომლებიც საკანონმდებლო ნორმებს უგულებელყოფენ.

აღნიშნული კანონის მე-6 და მე-8 მუხლების მიხედვით, ესემესების გამგზავნი პირი ვალდებულია, მოიპოვოს მომხმარებლის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების (სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი და ელფოსტა) დამუშავებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაცემები მოპოვებული უნდა იყოს საჯარო წყაროებიდან. აღსანიშნავია, რომ „საჯარო წყაროს“ ქარ-

თული კანონმდებლობა არ განმარტავს. ნებისმიერ შემთხვევაში, ტექსტური შეტყობინებების გამგზავნი პირი ვალდებულია აცნობოს მომხმარებელს, რომ მას აქვს უფლება უარი თქვას შეტყობინებების მიღებაზე, რასაც კომპანიები, როგორც წესი, არ აკეთებენ“, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

ესემეს რეკლამების შესახებ განცხადება გაავრცელა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმაც. მან კომპანიებს არსებული საკანონმდებლო ნორმები შეახსენა და მათი დაცვისკენ მოუწოდა, ასევე შესთავაზა კონსულტაციები.

რაც შეეხება „შემაწუხებელი კომპანიების“ სიას, იგი ასე გამოიყურება: ALLTOURS; ALTA9 AMBOLI; ARAY TOMORROW; BALDI; BOSCH; CARREFOUR; CHIC BEBE; CITY CLUB; CLUB 71; ELIT ELECTRONICS; GASA; HINTERIOR; KSB BANK1; LOTUS; MEDI; MEGALINE; MNAPOLEONE; NLSSAN; OK; RAK CERAMICS; SAFILO; SALAMANDER; SAMSUNG; SMILEY; TECHNO BOOM; TK BATUMI; ტურისტული სააგენტო „საქართველო“; VIVASUN.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“ აცხადებენ, გაურკვეველი რჩება, თუ როგორ მოიპოვეს მობილური მარკეტინგის კომპანიებმა მოქალაქეთა ტელეფონის ნომრები და სხვა მონაცემები. მათივე ინფორმაციით, მობილური კავშირის ოპერატორმა კომპანიებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განუცხადეს, რომ ისინი მომხმარებელთა ნომრებსა და მათ შესახებ ინფორმაციას მესამე მხარეს არ უზიარებენ და არც ყიდიან.

მას შემდეგ, რაც კომპანიების „სამარცხვინო“ სია გამოქვეყნდა, უნებართვო ესემეს-რეკლამებზე უარი პირველმა „ტექნო ბუმმა“ თქვა. კომპანიამ მომხმარებელს შეატყობინა, რომ სპეცფასების და აქციების შესახებ ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღების სურვილის არქონის შემთხვევაში, აბონენტებმა, კომპანიის „ცხელ ხაზზე“ (2 430102) უნდა დარეკონ და საკუთარი სურვილი დააფიქსირონ.

ჯერჯერობით „ტექნო ბუმისთვის“ სხვა კომპანიებს არ მიუბაძავს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘ

2014 ᲬᲚᲘᲡ 7 იანვარს, დღის 12 საათზე, ქ. თბილისის აეროპორტი, მიწის ნაკვეთი №01.19.26.004.004-ში მდებარე სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქვეყნის საავტომობილო საწვავით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. თბილისი, გულუას ქ. №6. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო (ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი);**
- **ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74 ბ.მე-3 სართ.**
- **ქ. თბილისი, აბო-თბილელის ქ. №12.**

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74 ბ. მე-3 სართ.

საკონტაქტო პირები: გაგა ტყემალაძე, ტელ: 577 24 52 41;

გენადი უბირია, ტელ: 579 02 01 10;

მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 27 დეკემბერი, დღის 12 საათამდე.

სს „ᲕᲘᲡᲝᲚ ᲞᲔᲢᲠᲝᲚᲘᲣᲛ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

◎ დარღვევების გამოსწორება მოუწევს

„დაბომბილი“ ჭიათურის სოფლები და „ჯორჯიან მანგანეზის“ პასუხისმგებლობა

გარემოს **დაცვის სამინისტრო კომპანია „ჯორჯიან მანგანეზს“ უჩივის. სამინისტრომ დასავლეთ საქართველოს პროკურატურაში შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გაგზავნა. საქმე ეხება ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების პროცესში არსებულ დარღვევებს. გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზარალი 2 მილიონ ლარს აჭარბებს. პრობლემებია სალიცენზიო პირობების დაცვასთან დაკავშირებითაც. გარემოს დაცვის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო, მანაგნუმის მომპოვებელ კომპანიას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც მოუწევს.**

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებაზე სახელმწიფო ლიცენზია 2006 წელს 40 წლის ვადით გაიცა და ის კომპანია „ჯორჯიან მანგანეზმა“ მოიპოვა. 2013 წლის გაზაფხულზე აღნიშნული კომპანია „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზმა“ იყიდა. დღეს ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება-გადამუშავებას, სწორედ, ეს კომპანია ახორციელებს.

გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი **ნელი კორკოტაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო მანგანუმის მოპოვების საკითხით ჭიათურის მცხოვრებთა საჩივრების საფუძველზე დაინტერესდა.

„შევამოწმეთ როგორც სალიცენზიო პირობები, ისე გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა და გამოვლინდა დარღვევის ფაქტები. დარღვეული იყო გარემოს დაცვის ნორმები, გაუვარგისებული იყო ნიადაგის ნაყოფიერი ფენა — არ იყო მოხსნილი და დასაწყობებული. გარემოსთვის მიყენებული ზიანი დავითვალეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში გავგზავნეთ. ლიცენზიის პირობების დარღვევასთან დაკავშირებით კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა, რომელიც სასამართლოში გაიგზავნა“, — განაცხადა ნელი კორკოტაძემ.

მისივე თქმით, პრობლემაა რეკულტივაციის სამუშაოებთან დაკავშირებითაც. რეკულტივაცია, ანუ სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად დაზიანებული მიწების აღდგენა მანგანუმის მომპოვებელი კომპანიის ერთ-ერთი ვალდებულებაა.

For.ge-ს ინფორმაციით „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელმა კომპანია „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზმა“ რეკულტივაცია ცალკეულ უბნებზე წამოიწყო. თუმცა, გარემოს დაცვის სამინისტრომ კომპანიის მიერ წარდგენილი პროექტი დაიწუნა და შესაბამისი რეკომენდაციებიც გასცა.

„მათ ჰქონდათ ვალდებულება, ჩაეტარებინათ რეკულტივაცია, წარმოადგინეს პროექტები. ეს პროექტები განიხილა გარემოს დაცვის სამინისტრომ და გარკვეული შენიშვნებით დაუბრუნდა კომპანიას. კომპანიამ ან უნდა გადაამუშავოს ეს პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით, ან ხელმეორედ წარმოადგინოს გარემოს დაცვის სამინისტროში. მას ძალიან მცირე მასშტაბით რეკულტივაციის სამუშაოები აქვს ჩატარებული. ბუნებრივია, ეს არ არის საკმარისი , გამონამუშევარი კარიერები სათანადოდ უნდა აღდგეს“, — განმარტავს კორკოტაძე.

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების პროცესში არსებულ დარღვევებზე საუბრობს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **მალხაზ წერეთელიც.**

იხ. 11 გვ.

◎ კომუნალური გადასახადები

დენის გამო დავების ხანის დასასრული

სამომხმარებლო ტარიფებთან დაკავშირებული უსამართლობა, რაც პერმანენტულად საზოგადოების უკიდურესი აღშფოთების საგანი ხდებოდა, ყველას კარგად მოეხსენება. იქნებოდა ეს საზოგადოებრივი თუ საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის, ავტოპარკინგის, დასუფთავების, მოხმარებული ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის თუ სასმელი წყლის საფასურის მატება ან მათი სრულიად გაუგებარი ერთმანეთზე მიბმა, როგორც ეს ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იყო, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა და ახლაც მძიმე ტვირთად აწევს.

გვახსოვს საცხოვრისის ფართზე მიბმული ელექტროენერგიის ანგარიშები, ერთმანეთს „მიტყუპებული“ დასუფთავებისა და იმავე მოხმარებული ელექტროენერგიის „დუეტი“, სასმელი წყლის ფიქსირებული გადასახადი და მრავალი სხვა აშკარა შეუსაბამობა, რომელთა მეშვეობით თბილისის მერიის საფარველით მოსარგებლე ხელოვნურად შექმნილი „ბუნებრივი“ მონოპოლიები მოსახლეობას „ამათრახებდნენ“ ფულის ამოსაქაჩად. უფასო ყველი რომ მხოლოდ სათაგურშია და ყველა სახეობის საქონელში თუ მომსახურებაში ფული რომ უნდა იყოს გადახდილი, განსჯის საგანი საერთოდ არ არის, აღშფოთებას კი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავალთან და მატერიალურ მდგომარეობასთან მათი შეუსაბამოდ მაღალი საფასური იწვევს. თუ რატომაა სამომხმარებლო ტარიფები ასე მაღალია, ეს სხვა თემაა, რომელიც, ზოგადად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივ არარსებობას, „ქართული აბრით“ ბაზარზე გაბატონებული უცხოური კომპანიების თვითნებობასა და კიდევ ბევრ სხვა გარემოებას უკავშირდება. იმედია, რომ ქვეყნის პარლამენტი და „ქართული ოცნების“ მთავრობა ქვეყნის მოსახლეობისთვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროში ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, თუმცა ვითარების ნორმალიზების ზოგიერთი ღონისძიება უკვე გატარდა. მაგალითად, დასუფთავებისა და მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადები „განაქორწინეს“, ზოგიც განხორციელების პროცესშია.

კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მხარეებში მოსახლეობის ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველებით უზრუნველყოფა, რაც წლების მანძილზე სამეზობლოებში გაუთავებელი დავისა და უსიამოვნების მიზეზი იყო. **სადღეისოდ საქართველოს მხარეებში კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ დაყენებული ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველები 725 ათას აბონენტს ანუ 80 პროცენტს აქვს. კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, 2007 წლიდან მოყოლებული, საქართველოში 60 ქალაქისა და 1175 სოფლის აბონენტია ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული, ანალოგიური სამუშაოები კი 1145 დასახლებულ პუნქტშია ჩასატარებელი. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია სამხრეთ საქართველოში (აბონენტთა 69 პროცენტი), ყველაზე მაღალი — დედაქალაქსა და მის გარეუბნებში (ფაქტობრივად, 100 პროცენტი), მთლიანად ყველა აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი 2015 წელს უნდა დასრულდეს,** რის შემდეგ ახლა პარალელურ რეჟიმში მიმდინარე ქვესადგურების, გადამცემი ხაზების, ტრანსფორმატორებისა და ფიდერების რეაბილიტაციაზე გაცილებით მეტი სახსრები და ძალა მიიმართება.

იგივე გზით მიდის დედაქალაქში, ასევე რუსთავში, მცხეთასა და გარდაბნის რაიონის ნაწილში სასმელი წყლის მიმწოდებელი მონოპოლისტი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაური“, რომელიც აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტს ახორციელებს. ახლო მომავალში, კერძოდ მომავალი წლიდან, კომპანიის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი სიახლე ის იქნება, რომ **ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულ აბონენტებთან მოხმარებული წყლის გადასახადის ოდენობის დასადგენად მონაცემებს სამ თვეში ერთხელ აიღებენ. სასმელი წყლის გადასახადის გარდა მომხმარებელი ასევე წყალარინების (ანუ საკანალიზაციო) მომსახურების საფასურსაც გადაიხდის.** ამასთან დაკავშირებით, ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულ აბონენტებთან კომპანია სათანადო ხელშეკრულებას გააფორმებს. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, **მოხმარებული სასმელი წყლის საფასური მომხმარებელს მრიცხველის ჩვენების შესაბამისად, დადგენილი ტარიფით (26,6 თეთრი ერთ კუბურ მეტრში) კვარტალში ერთხელ დაერიცხება, ხოლო ამ მომენტიდან მორიგი ჩვენების აღებამდე განვლილ სამ თვეში — ყოველთვიური გასაშუალოებული ხარჯით. იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული თანხასა და რეალურ დანახარჯს შორის სხვაობა იქნება, ამის შესაბამისად გადასახდელის კორექცია მოხდება.** სიახლე იქნება ასევე ის, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ შესაბამის სამსახურთან ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულ აბონენტებს საგანგებო ინტერნეტ-პორტალის მეშვეობით დაკავშირების შესაძლებლობა ექნებათ და წყლის რეალური დანახარჯების თაობაზე ინფორმაციის ყოველთვიურად მიწოდება ონლაინ რეჟიმში შეეძლებათ, თუმცა კი ყოველკვარტალურად ამ მონაცემებს კომპანიის წარმომადგენლები გადაამოწმებენ.

ზემოაღნიშნულ სიახლეთა შემოღება, როგორც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურში“ აცხადებენ, სემეკის 2008 წლის № 32 დადგენილებით დამტკიცებულმა „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებმა“, აგრეთვე ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული აბონენტების გამოკითხვის შედეგებმა განაპირობა. ლაპარაკია, კერძოდ, იმ საყოფაცხოვრებო დისკომფორტზე, რომელსაც გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა სასმელი წყლის მრიცხველის ჩვენებათა ინკასატორის მიერ აღებისას განიცდიდა. აქედან გამომდინარე გადაწყდა, რომ ასეთი ვიზიტების რიცხვი წელიწადში ოთხით შემოიფარგლოს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ კვალი დროში

საგვარეულოს ბერმუხა

ჟანტურიების **გვარის ერთ შტოს გვაქვს გენეალოგიის რუკა („გენეალოგიური ხე“), რომელიც შეუდგენია დიდ ქართველ მამულიშვილს, მრავალმხრივ უაღრესად განათლებულ ადამიანს, თითქმის მსოფლიომოვლილს, მრავალი უცხო ენის მცოდნეს, რაც მთავარია — ზუგდიდის ცნობილი მუზეუმის დამაარსებელსა და წლების განმავლობაში მის შეუდრეკელ მოამაგე-მცველს (ზოგჯერ ამ ბოლო სიტყვის პირდაპირი გაგებით) აკაკი ჭანტურიას (იხ. გიორგი კალანდია, გაძარცული საგანძური, გამომც. „არტანუჯი“, 2006წ., გვ.33).**

ამ „გენეალოგიურ ხეს“ იმდენი სასახელო სახელი ამშვენებს, რომ მათი უბრალო ჩამოთვლის საშუალებას არც გაზეთის და არც მილოცვის ფორმატი გვაძლევს...

„გენეალოგიური ხის“ ერთ-ერთი მძლავრი ტოტის, განშტოების მე-10 „რგოლია“ თვითონაც საიმედოდ განტოტვილი **რეზო ივანეს ძე ჭანტურია.**

სწორედ რეზო ჭანტურიას, ბრგე, ახოვან, ენერგიულ ვაჟკაცს, შეხედულებით 60-ამდე წლისა რომ გეგონებათ, ამ დღეებში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი რეზოს, რომელიც შრომისმოყვარე, უაღრესად განათლებულ ოჯახშია დაბადებულ- აღზრდილი (მამამისი, ივანე, ადგილობრივი კოლმეურნეობის ცნობილი თავმჯდომარე გახლდათ), შრომითი ბიოგრაფიაც კომპეტენტური სპეციალისტის — ხელმძღვანელისა და საქმის ერთგული პიროვნებისა აქვს: მან შედარებით მოკლე დროში გაიარა გზა მაშინდელი სოფელ ჯვარის კოლმეურნეობის რიგითი წევრიდან მთავარ აგრონომამდე და 1974 წელს მეზობელი სოფლის, ჩქვალერის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, სადაც წარმატებით უძღვებოდა საქმეს პენსიაზე გასვლამდე...

არც შემდეგ შეუწყვეტია მას აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა თავისი მშობლიური ქალაქ ჯვარის მმართველობის ორგანოებში — სპეციალისტად, მრჩევლად... დღესაც ქალაქ ჯვარის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთან არსებული მრჩეველთა საბჭოს აქტიური წევრია და თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით, დაგროვილი ცოდნით თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ქალაქის, მხარის, ქვეყნის აღმშენებლობაში.

ბატონ რეზოს ჰყავს მშვენიერი, ქართული ოჯახი: მეუღლე კლარა ღვაწლმოსილი პედაგოგია; ოთხივე შვილმა წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ნანას, ომარის და გელას (თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე და ერთ-ერთი მწვრთნელი) საკუთარი ოჯახები აქვთ შექმნილი, ოთარი თავისი ბედის ძიებაშია... ბებიასა და ბაბუას ხუთი შვილიშვილი უხარებს გულს...

„გენეალოგიურ ხეზე“ განტოტვილი ჭანტურიები ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ბერმუხას დაბადებიდან მე-80 წლისთავს და ვუსურვებთ, მრავალი წელი კვლავ ასეთი შემართებით, მხნედ, ჯანმრთელად ეღვაწოს თავისი დიდი, ძვირფასი ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მურად ჭანტურია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს თავდაცვის მინისტრი: საქართველო რუსეთს თავდასხმისთვის საბაბს არ მისცემს

საქართველო **არ მისცემს რუსეთს საბაბს თავდასხმისთვის, განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. მინისტრის სიტყვებით, ქვეყნის ახალი ხელისუფლება რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში ახორციელებს „პრაგმატულ პოლიტიკას“ და მისი შედეგიანობის იმედიც აქვს.**

„ჩვენი მთავარი მიზანია — არ მივცეთ რუსეთს არანაირი საბაბი თავდასხმისთვის... ჩვენ კარგად გვესმის, რომ რუსეთი არ შეცვლის თავის პოზიციას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან ანდა ნატოში ინტეგრაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ჩვენი ინტერესებია — დავიწყოთ ღია სავაჭრო და კულტურული ურთიერთობანი რუსეთთან, რაც ხელს შეუწყობს პოლარიზაციის შემცირებას“, — განაცხადა ალასანიამ საფრანგეთის ტელეარხ „ფრანს 24“-თან ინტერვიუში.

მინისტრმა აღნიშნა „მნიშვნელოვანი როლი“, რომელიც შეუძლია შეასრულოს საქართველომ რეგიონში დაძაბულობის შემცირების საქმეში. ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ განზრახული აქვს, აღადგინოს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან, ესე იგი, მოაწესრიგოს ის საკითხები, რომლებზეც მხარეებს შეუძლიათ, მიაღწიონ „შეთანხმებას“. მიუხედავად ამისა, ივანიშვილის მთავრობა და თავად პრემიერ-მინისტრი არაერთგზით აცხადებდნენ, რომ თბილისისთვის მიუღებელია რუსეთის პოზიცია, რომლებიც ემყარება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, და რომ საქართველო არ აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობებს რუსეთთან, სანამ სოხუმსა და ცხინვალში არ გაუქმდება რუსეთის საელჩოები.

ოპოზიცია აკრიტიკებს ივანიშვილის მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ახასიათებს მას, როგორც „რუსეთთან თამაშს“. მიხეილ სააკაშვილმა, კერძოდ, განაცხადა, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ამჟამინდელმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო საქართველოსადმი დამამცირებელი ურთიერთობის ჩამოყალიბებას რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელ წრეებში. **„არაფერია უფრო მეტად პრაგმატული, ვიდრე თავაწეული პოლიტიკა“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

„უადგილო ტერმინი“

ელენე ხოშტარია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი, წარსულში კი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლება ერთობ უადგილოდ იყენებს ტერმინს „პრაგმატულობა“, რითაც განსაზღვრავს თავის პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობაში.

მისი სიტყვებით, თავდაპირველად საქართველოს ხელისუფლება უბრალოდ უგულებელყოფდა „თავდასხმებს“ რუსეთის მხრიდან. მაგალითად, იხსენებს ხოშტარია, ივანიშვილმა „გაუგებრობა“ უწოდა რუსეთის მესაზღვრეების მიერ ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ხაზებს გასწვრივ მავთულხლართების მშენებლობას. ექსპერტის სიტყვებით, ოფიციალური თბილისი აპირებდა შეემსუბუქებინა კანონი ოკუპაციის შესახებ და დაეწყო პირდაპირი მოლაპარაკება აფხაზებთან და ოსებთან, რაც „მხოლოდ მოუხსნიდა პასუხისმგებლობას რუსეთს“ და, შესაბამისად, შეამცირებდა დასავლეთის ზემოქმედებას მოსკოვზე საქართველოს ტერიტორიების რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, აგრძელებს ექსპერტი, ზემოაღნიშნული ნაბიჯების საპასუხოდ მოსკოვმა „კიდევ უფრო თამამად“ დაიწყო „პროვოკაციული მოქმედებები“ საქართველოსთან დამოკიდებულებაში. აი, მხოლოდ ერთი მაგალითი: ივან ნეჩაევს — მფრინავს, რომელიც 2008 წელს ბომბავდა საქართველოს, გამოუყო „ცენტრალური როლი“ რუსეთში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტის სტარტზე 6 ოქტომბერს, რამაც, ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ხაზის გადატანასთან ერთად, საქართველოში აღშფოთების ტალღა გამოიწვია.

„მხოლოდ ამის შემდეგ, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებამ გაიგო, რომ რუსეთთან შეთანხმება დასავლელი პარტნიორების აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია, შესაბამისი განცხადებები გააკეთეს მმართველი „ქართული ოცნების“ ლიდერებმა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლებმაც კვლავ დაიწყეს ინტენსიური მუშაობა დასავლეთის დახმარების აქტივიზაციასთან დაკავშირებით, რასაც მხოლოდ შეიძლება მიესალმო“, — აცხადებს ელენე ხოშტარია.

„ძნელია, წინასწარ გამოიცნო“

პოლიტოლოგმა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდიდან კახა გოგოლაშვილმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზნების თვალსაზრისით პრაგმატულია ნებისმიერი პოლიტიკა, მაგრამ ანგარიშების თვალსაზრისით იგი შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი.

„ივანიშვილის მთავრობა ცდილობდა, შეეტანა რაღაც ახალი და მოეწესრიგებინა ურთიერთობანი პირდაპირ, ემოქმედა უფრო ფრთხილად, ვიდრე ამას სააკაშვილის მთავრობა აკეთებდა, მაგრამ, ეტყობა, მათ გადაჭარბებით შეაფასეს ორმხრივი მოლაპარაკების შესაძლებლობანი, და განგარიშება აღმოჩნდა არასწორი“, — ამბობს კახა გოგოლაშვილი. **„ამის შემდეგ,** — განაგრძობს ანალიტიკოსი, **— გაჩნდა მცდელობა — მოეხდინათ პოლიტიკის ბალანსირება და მოეძებნათ შუალედური გზა, ესე იგი გაეგრძელებინათ პირდაპირი დიალოგი მოსკოვთან და ამავე დროს უზრუნველეყოთ ზურგი საერთაშორისო გაერთიანების ძლიერი მხარდაჭერის სახით. მიმაჩნია, რომ ეს არის საკმაოდ მოქნილი და პრაგმატული მიდგომა“.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სააკაშვილის მთავრობისთვის დამახასიათებელი მკვეთრი რიტორიკა ართულებდა რუსეთ-საქართველოს დიალოგს, რისი აუცილებლობის შესახებაც აცხადებდა წინა ხელისუფლებაც. ამასთან დაკავშირებით გოგოლაშვილმა აღნიშნა უფრო „სწორი მიდგომა“, რომელიც გამოიჩინა ივანიშვილის კაბინეტმა, როდესაც რუსეთის „პროვოკაციულ მოქმედებაზე“ თბილისის მხრიდან არ გაკეთებულა „ძალიან მკვეთრი განცხადებები“.

Voice of America

საქართველოს მომავალმა პრემიერმა კადრები წარმოაჩინა

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ფორმირების ჩამოყალიბება თავის დამტკიცებამდე დაიწყო

საქართველოს პრემიერის პოსტზე ოფიციალურ წარდგენამდე ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: გამოაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელისა და გენერალური პროკურორის ვინაობა. თბილისში მიაჩნიათ, რომ მომავალი მთავრობის შესადგენლობა გვიჩვენებს, თუ რამდენად დამოუკიდებელი იქნება ბიძინა ივანიშვილის კაცი გადაწყვეტილებათა მიღებაში.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც ძალაში 17 ნოემბერს შედის — გიორგი მარგველაშვილის მიერ პრეზიდენტობის ფიცის დადების შემდეგ — მთავრობის ჩამოყალიბება საპარლამენტო უმრავლესობის პრეროგატივა ხდება. „მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ შესთავაზებს პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატურას, იგი შეიტანს მას დასამტკიცებლად პარლამენტში და ახალი პრემიერი ჩამოაყალიბებს მთავრობას, — განმარტა ჩვენთან საუბარში კონსტიტუციის ერთ-ერთმა ავტორმა, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა უფროსმა ავთანდილ დემეტრაშვილმა. — უმრავლესობას შეუძლია დაამტკიცოს კაბინეტი, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე, თუმცა, დღეს ისინი ერთი გუნდის წევრები არიან.

ბიძინა ივანიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის პოსტზე თავის მემკვიდრედ დაასახელა სულ რაღაც რამდენიმე დღის წინათ, მაგრამ მან უკვე მიიღო ორი მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილება. შაბათს ბატონმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის სავარძელში მას შეცვლის თბილისის პოლიციის უფროსი, 28 წლის ალექსანდრე ჭიკაიძე. „ალექსანდრე გაიზარდა პოლიციელის ოჯახში და შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი თავი დედაქალაქის პოლიციის ხელმძღვანელის პოსტზე“, — განმარტა მან. ამასთან დაკავშირებით, დეპუტატმა მიხეილ სააკაშვილის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გივი თარგამაძემ მომავალ პრემიერს ბრალი დასდო ნეპოტიზმში (თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების, ახლობლების მფარველობა — რედ.). „ჭიკაიძის მამა იყო ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, კახეთის პოლიციის უფროსის თამაზ თამაზაშვილის დიდი მეგობარი“, — განაცხადა დეპუტატმა, რითაც მიუთითებდა, რომ ახალი მინისტრის კანდიდატურა შეარჩია ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრმა და არა თავად მან. ასეა თუ ისე, ამ ისტორიაში უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბატონი თამაზაშვილი პრეზიდენტ საკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდ მტრად და „ციხის ვიდეოს“ ერთ-ერთ ავტორად ითვლება.

მომავალი პრემიერის მეორე საკადრო გადაწყვეტილება — ეს არის ახალი გენერალური პროკურორის წარდგენა არჩილ კბილაშვილის ნაცვლად, რომელიც მოულოდნელად გადადგა, როდესაც მიუთითა „უთანხმოებაზე პრემიერ ივანიშვილთან პროკურატურის რეფორმირების ტემპების საკითხში“. სხვათა შორის, ექსპერტების აზრით, ბატონმა კბილაშვილმა, უბრალოდ, ვერ შეძლო მმართველი კოალიციის წინასაარჩევნო დაპირების შესრულება. „ქართული ოცნება“ ჰპირდებოდა ბიზნესმენებს, რომ დაუბრუნებდა აქტივებს, რომლებიც წინა ხელისუფლებამ ჩამოართვა, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება“, — განმარტა ჩვენთან საუბარში საინფორმაციო აგენტმა ნიკა იმნაიშვილმა. — მაშინ საჭირო იქნებოდა დაებრუნებინათ ყოფილი მფლობელებისთვის ბიზნესი საერთო ღირებულებით ხუთი მილიარდი დოლარი“. კიდევ ერთ პრეტენზიად არჩილ კბილაშვილისადმი თანამოსაუბრემ დაასახელა „ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საიდუმლოების გახსნის შეუსრულებელი დაპირება“.

საქართველოს ახალი გენერალური პროკურორი გახდება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ოთარ ფარცხალაძე. სწორედ მისი ინიციატივით აღძრა საფინანსო პოლიციამ მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლების, მათ შორის თბილისის მერის გიგი უგულავას და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერების წინააღმდეგ. ამიტომ ბატონი ფარცხალაძის დანიშვნა მოწმობს იმის შესახებ, რომ მომავალ პრემიერს განზრახული აქვს გააგრძელოს მკაცრი ხაზი მიმავალი პრეზიდენტის გუნდის წევრებთან დაკავშირებით.

თბილისში მიაჩნიათ, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობა მრავალგზის მიუთითებს იმაზე, რამდენად დამოუკიდებელი იქნება ბიძინა ივანიშვილისგან მისი მემკვიდრე. ჯერჯერობით საუბარი მინისტრთა კაბინეტის რადიკალური ცვლილებების შესახებ არ არის, მაგრამ ორივე საკადრო გადაწყვეტილება, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო, შეიძლება შეფასდეს, როგორც მისი მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ეიმენელმა სამართალდამცველმა შეძლო თავიდან აეშორებინა 9 წლის გოგონას ძორწილი

ადამიანის უფლებათა სამინისტროს თანამშრომელმა გაიგო ქორწილისთვის ჰიბის მზადების შესახებ ქალაქ ტაიზიდან და დაუკავშირდა ადგილობრივ პოლიციას. წესრიგის დამცველებმა შეძლეს, გადაეთქმევინებინათ მამისთვის, რომელიც გოგოს მარტო ზრდიდა, მისი გათხოვება. ეს ამგვარი პირველი შემთხვევაა, როდესაც ერევიან საბავშვო ქორწინების პროცესში ამ ქვეყანაში.

სამხრეთი კორეის პრესამ გაავრცელა ცნობა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მასობრივი სიკვდილით დასჯის შესახებ: მაძურებლებს სტადიონზე აგრეგვებდნენ

ეგზეკუციის შესახებ იტყობინებოდა ერთ-ერთი ყოველდღიური გაზეთი რომელიღაც ანონიმურ ინფორმატორზე მითითებით. სულ, როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ, დახოცეს დაახლოებით 80 კაცი. საბაბი, სავარაუდოდ, იყო ისეთი დანაშაულები, როგორიცაა სამხრეთი კორეის ფილმების ჩვენება და გავრცელება, ბიბლიის ქონა და პორნოგრაფიის გავრცელება.

ფილიპინებზე ტაიფუნის მსხვერპლთა ოფიციალურმა რიცხვმა 1500 კაცს გადააჭარბა. თვითმხილველები თავიანთი განცდების შესახებ იტყობინებიან ძსელში

დანგრეული ქალაქები სასაფლაოებად იქცა: ყველგან არის დაღუპულთა ცხედრები, მათ შორის ხეებზეც. დაღუპულთა რიცხვი შეიძლება გაცილებით მეტი იყოს: მხოლოდ ერთ ლეიტეს პროვინციაში საუბრობენ 10 ათასი კაცის დაღუპვის შესახებ. ასობით ათასი მცხოვრების სახლები დანგრეულია ანდა მოწყვეტილია გარესამყაროს. ტაიფუნმა ასევე დაარტყა ვიეტნამის ჩრდილოეთს და ჩინეთის სამხრეთს, იქაც არიან დაღუპულები.

სირიის ოპოზიცია თანახმაა, მიიღოს მონაწილეობა „ჟენევა-2“-ში ბევრი პირობის შესრულების შემდეგ

სირიის კრიზისის მოწესრიგების მონაწილეთა მოლაპარაკების ერთ-ერთი შედეგი უნდა გახდეს ბაშარ ასადის გადადგომა, აცხადებენ ოპოზიციაში. ეს პირობა იმუქრება გახდეს საჯილდაო ქვა სირიის რევოლუციური და ოპოზიციური ძალების ეროვნულ კოალიციასა და რუსეთს შორის.

საშურადღებო, რომ სააკაშვილი, რომელმაც 7 აგვისტოს 19 საათზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა, იმავე დღის 23 საათსა და 35 წუთზე ჯარს ცხინვალის მიმართულებით სატანკო იარაღიდან, ჰაუბიცებიდან და რეაქტიული დანადგარი „გრადიდან“ სროლა უბრძანა. მეორე დღეს კი რუსული ტანკები როკის გვირაბის გავლით, საჰაერო მხარდაჭერის თანხლებით შევიდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

საარტილერიო შტურმის დაწყებიდან სულ მალე ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა **მამუკა ყურაშვილმა** განაცხადა, რომ „საქართველო აპირებს მთელ რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“. მოგვიანებით ითქვა, რომ ეს განცხადება შეთანხმებული არ იყო, თუმცა **სატელევიზიო გამოსვლებში პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებდა, რომ „ამ მომენტისთვის ცხინვალის უდიდესი ნაწილი განთავისუფლებულია“.**

მოგვიანებით ქართული მხარე თავს იმით იმართლებდა, რომ ისინი იძულებული იყვნენ, ძალა მხოლოდ იმ მიზნით გამოეყენებინათ, რათა რუსული ჯარის მძლავრი შეტევისთვის გაეწიათ წინააღმდეგობა, თუმცა, დამკვირვებელთა უმრავლესობამ (მათ შორის, ევროკავშირის დამკვირვებლებმა) განაცხადეს, რომ **ქართული ჯარის შეტევამდე მასშტაბური რუსული შეჭრის არავითარი ნიშანწყალი არ იყო.**

სააკაშვილს თავად ასეთი განცხადება არ გაუკეთებია, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭოს 8 აგვისტოს სხდომაზე საქართველოს წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ „**05:30 სთ-ზე პირველი რუსული სამხედრო ნაწილები როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შევიდნენ“.** ორი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის ზოგიერთ წევრთან ინტერვიუებისას, როგორც როკსბორო ამბობს, „ისინი უიმედოდ იბნეოდნენ მოვლენათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაში“.

ის, რომ ქართულმა მხარემ იერიში პირველმა მიიტანა და ეს არ იყო რუსეთის შეტევის მოგერიება, არამედ სამხრეთ ოსეთის დაპატრონების მცდელობას წარმოადგენდა, მოვლენათა დაწყებამდე ერთი დღით ადრე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რადოსლავ სიკორსკის საუბრიდანაც დასტურდება მის კოლეგა ეკა ტყეშელაშვილთან: „ეკამ დამირეკა და შემატყობინა, რომ ისინი სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური უფლებამოსილების აღდგენას აპირებენ. ამ სიტყვებმა მიმახვედრა, რომ ისინი მოქმედებაზე გადადიან. მე გავაფრთხილე, რომ მეტისმეტი არ მოსვლოდათ და სიფრთხილით ემოქმედათ, რადგან პროვოკაციაზე წამოგება საშინელ შედეგებს მოიტანს“.

ანგუს როკსბორო: „პრეზიდენტი მედვედევი შვებულებაში იყო და ვოლგაზე გემით მოგზაურობდა, პრემიერ-მინისტრი პუტინი პეკინში ოლიმპიური თამაშების გასხნაზე იმყოფებოდა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი პროვინციებში და სამივე მოსკოვისკენ გაფრინდნენ, რათა კრიზისზე რეაგირება მოეხდინათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათთვის ეს მოულოდნელობა იყო და რუსეთს თავდასხმის პროვოცირება არ მოუწყვია.

სხვა საქმეა, რომ მისი არმია კარგად მომზადებული აღმოჩნდა საპასუხო მოქმედებისთვის. მაშ, რატომ დაიწყო ომი მაინცდამაინც ამ მომენტში? ერთი კვირით ადრე ქართველი ლიდერები შვებულებაში გავიდნენ. მათი საუკეთესო სამხედროები ერაყში იმყოფებოდნენ. თუმცა, სააკაშვილი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ფიქრობდა დიპლომატისთვის უკანასკნელი შანსის მიცემას.

7 აგვისტოს მოლაპარაკებათა მონაწილე თემურ იაკობაშვილი ცხინვალში იმყოფებოდა, თუმცა, მოლაპარაკება ჩაიშალა — ოსურმა მხარემ მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. **დიახ, რუსეთი იარაღს აჟღარუნებდა, მაგრამ უმთავრესად იმიტომ, რომ საქართველოსთვის თავდასხმა გადაეფიქრებინა და არა იმიტომ, რომ თავად ემზადებოდა თავდასხმისთვის.**

მოსკოვმა ხომ დიდი ვერაფერი მოიგო საქართველოზე შეტევით და, მიუხედავად განცხადებებისა, არც არასოდეს აპირებდა ორი სადავო რეგიონის მიერთებას ან აღიარებას. საქართველოს მარცხი და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდგომი აღიარება ვერ შეფასდება, როგორც თავდაპირველი განზრახვების მტკიცებულება“.

პეკინში, ცხინვალზე თავდახსმიდან რამდენიმე საათში პუტინი პრეზიდენტებს — ბუშსა და სარკოზის შეხვდა. ორივემ სცადა რუსეთის შეკავება საპასუხო მოქმედებისგან.

ჟან-დავიდ ლევიტი:

„სარკოზიმ უთხრა პუტინს:

— მე ამ წუთში ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტს ვიკავებ. შემიძლია მივაღწიო იმას, რომ ევროკავშირმა ყველაფერი შესაძლებელი იღონოს, რათა ეს ომი შეჩერდეს, რომელიც კატასტროფას ნიშნავს ევროპისთვისაც და რუსეთ-ევროპული თანამშრომლობისთვისაც, მაგრამ ამისთვის, ვლადიმერ, 48 საათი დამჭირდება.

პასუხი მოკლე ყო. — არა!

სარკოზი უკან არ იხევდა: — მოიცადეთ, ვლადიმერ, გესმით, რამხელა ფსონია დადებული? 24 საათი მაინც მომეცით.

უცნობი პუტინი

— არა, ეს შეუძლებელია!

— მაშინ საღამოს 8 საათამდე მაინც...

— არა!“

თუმცა ჯარების შეყვანის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მედვედევმა მიიღო. იგი ამტკიცებს, რომ ვ. პუტინს ამის შესახებ მხოლოდ 24 საათის შემდეგ ესაუბრა, რადგან პეკინთან დაცული სატელეფონო კავშირი არ არსებობდა. მედვედევი ამბობს, რომ იგი თავდაცვის მინისტრმა გააღვიძა და ცხინვალის შეტევის შესახებ შეატყობინა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს პროვოკაცია იყო და მხოლოდ ამის შემდეგ, როცა მედვედევმა გაიგო, რომ მშვიდობისმყოფელთა კარავში პირდაპირი დარტყმის შედეგად ყველა სამხედრო დაიღუპა, მან კონტრშეტევის დაწყების ბრძანება გასცა.

ყველა, ვისაც მედვედევი პუტინთან შედარებით „რბილი“ ეგონა, მწარედ შეცდა. ვ. პუტინის სიტყვებით, სწორედ პრეზიდენტმა მედვედევმა უშიშროების საბჭოსთან თათბირის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. საბჭო შეიკრიბა და დაეთანხმა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, მაგრამ ესეც პუტინის პეკინიდან დაბრუნებამდე მოხდა. ჩასვლისთანავე ვ. პუტინი ჩრდილოეთ ოსეთში, ვლადიკავკაზში გაფრინდა, რათა ადგილზე ენახა სიტუაცია, შემდეგ კი სოჭში შეხვდა მედვედევს, რათა შექმნილ ვითარებაზე ემსჯელათ.

საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** იხსენებს: **„სააკაშვილი ომში ჩაება იმის აბსოლუტური რწმენით, რომ რუსეთის არმიას დაამარცხებდა. უკანასკნელად ომამდე ხუთი დღით ადრე ველაპარაკე და ვუთხარი: თუ თქვენ ამ ომს დაიწყებთ, ეს იქნება დასასრული ჩვენი ქვეყნისთვის და ამას არასოდეს გაპატიებთ.**

სხვა საკითხია, სააკაშვილის მოკავშირეები დასავლეთში (უპირატესად აშშ-ში), ერთის მხრივ, არ ურჩევდნენ მას ომის დაწყებას, მაგრამ მეორეს მხრივ, ხელს არ უშლიდნენ, იმის რწმენა ჰქონდა, რომ ომიც კი ეპატიება. **ანგელა მერკელმა და სხვებმა იცოდნენ მისი იმპულსურობის შესახებ და მაინც ნატომ წინდაუხედავად მისცა მას წევრობის დაპირება, მიუხედავად იმისა, რომ ამან რუსეთის შეშფოთება გამოიწვია.**

მოსკოვმა, არსებითად, ბევრი ვერაფერი მოიგო საქართველოზე შეტევით, და არასოდეს, მიუხედავად განცხადებისა, არ გამოხატავდა ორი საკამათო რეგიონის არათუ მიერთების, არამედ აღიარების სურვილს. საქართველოს დამარცხება და სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შემდგომი აღიარება დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად“ არ უნდა შეფასდეს, როგორც რუსეთის თავდაპირველი განზრახვა.

ანგუს როკსბოროს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ბრძოლის დაწყებამდე არც ერთი მხარე არ გეგმავდა ომის სერიოზულად ჩართვას. საბედისწერო გადაწყვეტილება უკანასკნელ წუთს მიიღეს სააკაშვილმა და მისმა უახლოესმა მრჩევლებმა. შესაძლოა, ისინი ფიქრობდნენ, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება პეკინის ოლიმპიადისკენ იყო მიპყრობილი. შესაძლოა, აწონ-დაწონეს ყველაფერი, რასაც მათ ამერიკელები ეუბნებოდნენ, და გადაწყვიტეს, რომ მთლიანობაში მათი მხარდაჭერა გარანტირებული აქვთ. ან დაზვერვამ მოახსენა (თუნდაც ეს ცრუ მონაცემები ყოფილიყო), რომ რუსეთის ჯარები უკვე როკის გვირაბში შემოვიდნენო. შესაძლოა, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთთან არშემდგარი მოლაპარაკებისას ქართულმა მხარემ დაინახა საგანგაშო წინაპირობა, დამატებით მედვედევის გაფრთხილებაც გაიხსენა, რომ შეიძლება ბევრად უარესი რამ მოხდეს, ეს მუქარა შეაფასა და იჩქარა შეესარგებლათ მოულოდნელად გამოჩენილი შესაძლებლობით, ხელში ჩაეგდოთ სამხრეთ ოსეთი. ასე იყო თუ ისე, ამ გადაწყვეტილებამ დააადასტურა სააკაშვილის ამერიკელი და სხვა დასავლელი კოლეგების, ყველაზე ცუდი მოლოდინები, იმ კოლეგების, რომლებიც მის მიმართ კარგად იყვნენ განწყობილნი, პატივს სცემდნენ, სიხარულით აღიქვამდნენ მის სწრაფვას დემოკრატიისადმი, მაგრამ შეშფოთებული იყვნენ მისი უპროგნოზობითა და იმპულსურობით.

ანგუს როკსბორო დელიკატურად წერს: **„ამ ომთან დაკავშირებული ყველაზე მდგრადი ასოციაცია არის ბი-ბი-სის კამერის მიერ დაფიქსირებული სააკაშვილი, რომელიც ნერვიულად იტენიდა პირში საკუთარი ჰალსტუხის ბოლოს; რუსულმა მხარემ ამაში იმის დასტური დაინახა, რომ სააკაშვილი შეურაცხადია. ეჭვები გაუჩნდათ მის დასავლელ კოლეგებსაც, ანგელა მერკელთან საუბრისას, როცა სამშვიდობო შეთანხმებაზე მუშაობდნენ, სააკაშვილი ისე აღელდა, რომ ცარიელი ჭიქიდან ლამობდა წყლის დალევს, შემდეგ კი წყლის ბოთლი მოისროლა“.**

სააკაშვილთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ერთ-ერთი ამერიკელი ოფიციალური პირი ომამდე რამდენიმე კვირით ადრე ესწრებოდა უმაღლესი დონის შეხვედრას თბილისში, ღამის პირველ საათზე. „პირველი, რაც თვალში მეცა, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების ხმაურიანი არაორგანიზებული სახე იყო. მაგრამ ასეთია ქართული ადათ-წესები, ყოველ შემთხვევაში, ამ წრეში. იმას კი არ ვამბობ, რომ ნასვამები, მეტისმეტად ახალგაზრდები ან სულელები იყვნენ, უბრალოდ ხალისით იფხანდნენ ენას. შეევდი და გავიგონე: აი, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ არ გვაქვს უწყებათაშორისი კოორდინაციის პროცედურები, ჩვენ კი ამას უბრალოდ ასე ვაკეთებთ. დალევთ?“ — იგონებს სტუმარი.

მიუხედავად იმისა, რომ ფითილს საქართველომ შეუნთო, ხანძრის გაჩენისთვის განსასჯელთა სკამზე რუსეთი აღმოჩნდა. გარკვეულწილად ეს იმიტომ მოხდა, რომ წარმოდგენები ომის შესახებ საერთაშორისო ტელერეპორტაჟებით შეიქმნა, რომლებშიც თითქმის ან სულ არ იყო ნაჩვენები ქართული ჯარის მიერ ცხინვალის დაბომბვა და ნგრევა. სამაგიეროდ, მაყურებელს მუდმივად სთავაზობდნენ ამის შემდეგ რუსული ჯარის მიერ დაბომბილი გორის ამსახველ სიუჟეტებს. ეს კი, თავის მხრივ, იმიტომ მოხდა, რომ რუსული მხარე ჟურნალისტებს ცხინვალში არ უშვებდა, ხოლო ქართული — ხელს უწყობდა პრესის გორში შესვლას.

ბი-ბი-სის მსოფლიო მოვლენების განყოფილების რედაქტორი **ჯონ უილიამსი** საკუთარ ბლოგში წერდა: „უსაფრთხო არ იყო თბილისიდან ცხინვალში შესვლა. რუსების თქმით, იგი სერიოზულად დაზარალდა ქართული ჯარების მოქმედების გმო. მხოლოდ ოთხშაბათს, პირველი სროლებიდან ექვსი დღის შემდეგ მოახერხა ბი-ბი-სის გადამღებმა ჯგუფმა, საკუთარი თვალით ენახა, რა მოხდა, ისიც რუსეთის ოფიციალური პირების თანდასწრებით“.

ამ ომში პიარ-კონსულტანტების როლის შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრი შეფასება გადაჭარბებულია. საქართველოს ძირითად აქტივად თავად სააკაშვილი იქცა, რომელიც გამუდმებით აძლევდა ინტერვიუებს გამართული ინგლისურით და ფრანგულით, როგორც ჩანს, მისი დასავლური პიარგუნდის თანხმობის გარეშე. მეორე მხრივ, მოსკოვი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა კონსულტანტების მოწოდებას, დაეშვათ ჟურნალისტები სამხრეთ ოსეთში და მხოლოდ მოგვიანებით შესთავაზა ინგლისურენოვანი ინტერვიუები ისეთ არხებს, როგორიცაა ბი-ბი-სი და სი-ენ-ენი.

ომის მეორე დღეს რუსულმა ბომბდამშენებმა 120 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს, გაანადგურეს საძართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა, მათ შორის აშშ-დან, ისრაელიდან და უკრაინიდან მიღებული ახალი ტექნიკაც.

მეორე დღეს **კონდოლიზა რაისმა,** რომელიც თავის დეიდასთან და დასთან ერთად ის-ის იყო დასასვენებლად წავიდა დასავლეთ ვირჯინიის კურორტზე, **სერგეი ლავროვს დაურეკა და შეჭრის აღკვეთა მოითხოვა.** ლავროვმა უპასუხა, რომ რუსეთს სამი პირობა აქვს:

— ჯერ ერთი, ქართული ჯარი დისლოკაციის ადგილებს უნდა დაუბრუნდეს.

— კეთილი. უპასუხა რაისმა.

— მეორე. საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

— კეთილი.

— მესამე (ოღონდ ჩვენში დარჩეს), სააკაშვილი უნდა წავიდეს.

რაისმა ყურებს არ დაუჯერა:

— სერგეი, ამერიკის სახელმწიფო მდივანი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არ უნდა მსჯელობდნენ კერძო საუბარში იმ პრეზიდენტის დამხობაზე, რომელიც დემოკრატიული გზით არის არჩეული.

მან გადაწყვიტა, საჯაროდ გამოეტანა ის, რაც საქართველოში რეჟიმის შეცვლის საფრთხედ მიიჩნია. 10 აგვისტოს გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა ზალმაი ხალილზადემ განაცხადა: **„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განუცხადა სახელმწიფო მდივან რაისს, რომ დემოკრატიულად არჩეული საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, — ვციტირებ, — „უნდა წავიდეს“. ეს სრულიად მიუღებელია და ყოველგვარ ზღვარს გადადის“.**

ლავროვი აღშფოთებული იყო. ერთერთ ინტერვიუში მან თქვა: **„მთელ მსოფლიოს მოსდო ის, რაზეც პარტნიორთან მსჯელობდა — ეს არ არის დიპლომატია“,** თუმცა იმ სიტყვების უარყოფა, რომელსაც მიაწერდნენ, არც უცდია. მან, უბრალოდ, განაცხადა **„მასთან“** (სააკაშვილთან) **არასოდეს დავიჭერთ საქმეს“.**

ქართულმა მხარემ 11 აგვისტოს, მოსახლეობისგან დაცლილი გორის დაბომბვის ნახვის შემდეგ, მიიჩნია, რომ რუსეთის არმია თბილისში აპირებს შესვლას. პრეზიდენტის კანცელარია პანიკამ მოიცვა: კედლებიდან სურათებს გლეჯდნენ, დოკუმენტებს ყუთებში ტენიდნენ, სასწრაფო ევაკუაციისთვის ემზადებოდნენ, კარლ ბილდტი და მეთიუ ბრაიზი ამას შეესწრნენ და მიიჩნიეს, რომ ქალაქში რუსული ჯარის შესვლამდე ნახევარ საათზე ნაკლები იყო დარჩენილი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 213-216

◎ რაგბი

რევანში „დინამო-არენაზე“

საქართველო-კანადა 19:15.

საქართველოს და კანადის ეროვნული ნაკრები გუნდები მეოთხედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და „დინამო-არენაზე“ „ბორჯღალოსნებმა“ წონასწორობის აღდგენა შეძლეს — 2:2.

მატჩის პირველი ნახევარი ორმხრივი იერიშებით წარიმართა. ტაიმის მიწურულს, როცა ანგარიში იყო 9:9, მესამეხაზელმა კოლელიშვილმა მოედნის ცენტრთან ახლოს მეტოქე წესის დარღვევით შეაჩერა. არბიტრი ჩვენს მორაგბეს 10 წუთით გაასინბინებდა, მაგრამ ამ დროს კოლელიშვილს ერთბაშად ორი კანადელი მიუხტა. ქართველმა მორაგბემ სტუმრებს თავი არ დააჩაგვრინა და გუნდური ჩხუბი ატყდა. არბიტრმა მალევე დააშოშმინა ორივე მხარე. თამაში რომ განახლდა, კანადელებმა ჯარიმა ზუსტად დაარტყეს და 12:9 დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ უპირატესობას „ბორჯღალოსნები“ ფლობდნენ, რომლებმაც საბოლოოდ 19:15 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრების მომდევნო მეტოქე აშშ-ს ეროვნული გუნდი შინ ახალი ზელანდიის ნაკრებთან 19:29 დამარცხდა. ჩვენი გუნდის მესამე მეტოქე სამოამაც წააგო სტუმრად ირლანდიის ნაკრებთან — 9:40.

ნოემბრის ტესტების სენსაცია დაფიქსირდა ბუქარესტში, სადაც რუმინელებმა ტონგას აჯობეს — 19:18. პორტუგალიის ნაკრებმა შინ ფიჯისთან დათმო შეხვედრა 13:36, ესპანელებმა კი სტუმრად ჩილე დაამარცხეს — 26:3.

16 ნოემბერს საქართველო აშშ-ს, ხოლო 23 ნოემბერს სამოას უმასპინძლებს.

ლაშა დიდია

◎ წყალბურთი

პირველი სამეული გაინაღდეს

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე — პლეი ოფის საგზურის მაძიებელ კონტინენტის 16 ქვეყნის ეროვნულ გუნდებს შორის მე-3 ადგილი დაიკავა. ვლადიმერ ისელიძის შეგირდებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, დამირ

ცრეპულია, მარკო ელეზი, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (კაპიტანი), კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, შესარჩევის მესამე რაუნდი პორტუგალიის ქალაქ პორტოში დაასრულეს, სადაც ექვსგუნდა ჯგუფში მოხვდნენ. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენმა ბიჭებმა შვეიცარიას აჯობეს (24:7), შემდეგ მალტის გუნდი დაჯაბნეს (11:4), მესამე ტურში ბელარუსს მოუგეს 17:9. ზედიზედ სამი მოგებით ქართველებმა სამშვიდობოს დაიგულეს თავი და მე-4 ტურში სლოვაკებთან უმოტივაციოდ გავიდნენ საპაექროდ, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც - 16:17 დამარცხდნენ. ამ წაგების შემდეგ ბოლო ტურში აუცილებელი იყო მასპინძლების დამარცხება. საქართველოს ნაკრებმა მიზანს მიაღწია — პორტუგალიას 17:9 სძლია და 16 გუნდს შორის მასამე ადგილზე გავიდა, რაც ჩვენი გუნდისთვის უდიდესი წარმატებაა. გთავაზობთ შესარჩევი ეტაპის მესამე რაუნდის ბოლო ტურების შეხვედრათა შედეგებს:

G ჯგუფი. პორტუგალია. შვეიცარია-ბელარუსი 8:18 (4:3, 2:7 0:4, 2:4), საქართველო-სლოვაკეთი 16:17 (2:5, 5:4, 3:3, 6:5), მალტა-პორტუგალია 8:6 (3:2, 1:4, 3:0, 1:0).

სლოვაკეთი-ბელარუსი 15:4 (6:0, 2:0, 3:3, 4:1), შვეიცარია-მალტა 4:10 (0:1, 1:2, 1:2, 2:5), პორტუგალია-საქართველო 9:17 (2:3, 1:8, 2:4, 4:2).

პლეი ოფში გავიდნენ: საქართველო-40 (85:46), სლოვაკეთი-38 (80:36).

H ჯგუფი. საფრანგეთი. ჩეხეთი-პოლონეთი 6:12 (1:2, 0:3, 2:4, 3:3), საფრანგეთი-უკრაინა 21:9 (6:3, 4:3, 8:0, 3:3), დანია-პოლონეთი 9:12 (1:2, 1:4, 3:3, 4:3), საფრანგეთი-ჩეხეთი 24:3 (5:1, 5:1, 7:1, 7:0).

საფრანგეთი — 40 (80:21), უკრაინა-28 (39:45).

I ჯგუფი. დიდი ბრიტანეთი. ისრაელი-მოლდოვა 22:7 (3:1, 4:1, 9:2, 6:3), დიდი ბრიტანეთი-რუსეთი 6:13 (2:3, 1:3, 3:1, 0:6).

რუსეთი-37 (74:19), დიდი ბრიტანეთი-26 (56:25).

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

ტიტულამდე ქულა არ ეყოთ

მოსკოვში დამთავრდა თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა „ევროპის ერთა თასის“ ორდღიანი გათამაშება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გუნდებიც მონაწილეობდნენ. „კლასიკოსებსაც“ და „თავისუფლებსაც“ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად თითო ქულა არ ეყოთ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ქართველები ფინალში თურქებს დაუპირისპირდნენ. პირველ შეხვედრაში ნიკა ცეცხლაძე (55 კგ) სერიფ კილიჩთან 0:8 დამარცხდა. თორნიკე თურქიშვილმა (60 კგ), საჩინო დავითაიამ (66 კგ) და ზურაბ დათუნაშვილმა (74 კგ), შესაბამისად, მუსტაფა საგლამის (სუფთად),იუკსელ ატაკანს (7:0), მსოფლიოს პრიზიორ სერიფ ტუეფენკს (8:0) სძლიეს და საქართველოს ნაკრები დააწინაურეს, მაგრამ მომდევნო სამი პაექრობა ჩვენებმა დათმეს: რევაზ ნადარეიშვილმა (84 კგ) აჰმეთ ილდირიმთან, ხოლო ვასილ იმერლიშვილმა (96 კგ) ჩენკ ილდემთან ორთაბრძოლები ფრედ დაასრულეს, თუმცა ბოლოს მოპოვებული ქულების წყალობით სამხრეთელმა მეზობლებმა გაიმარჯვეს; მძიმეწონოსანი ლევან არაბული 35 წლის გიუზელ ატილასთან ორ სეტში დამარცხდა (0:2 0:3) და ოთარ ტატიშვილის შეგირდები ვერცხლის მედალს დაყაბულდნენ.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. ფინალში ჩვენების მეტოქე იყო რუსეთის გუნდი: გადახალისებული შემადგენლობით მოჭიდავე მასპინძლებთან ქართველები თავიდან 3:0 დაწინაურდნენ: მინდორაშვილის გუნდს ჩემპიონის ტიტულამდე ნაბიჯიღა აკლდა, მაგრამ მისი გადადგმა ვერ შეძლო. რუსებმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგეს და ევროპის ერთა თასიც მათ მოიპოვეს.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატის XII ტური. „ზესტაფონი“ — „დინამო“ 1:2, „ჩიხურა“ — „ბაია“ 2:0, „გურია“— „ვიტ ჯორჯია“ 2:1, „დილა“ — „სიონი“ 0:2, „მეტალურგი“ — „ტორპედო“ 2:1, „ცხინვალი“ — „მერანი“ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 29,

„ჩიხურა“ — 25, „მეტალურგი“, „გურია“ — 21-21, „ტორპედო“ — 19, „დილა“ — 18, „ზესტაფონი“ — 15, „სიონი“ — 13, „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“ — 12-12, „ცხინვალი“ — 10, „ბაია“ — 7 ქულა.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“ — „ნაპოლი“ 3:0, „რომა“ — „სასუოლო“ 1:1, „პარმა“ — „მილანი“ 0:0.

ესპანეთი. „ბეტისი“ — „ბარსელონა“ 1:4, „ვილიარეალი“ — „ატლეტიკო“ 1:1, „რეალი“ — „სოსიედადი“ 5:1.

ინგლისი. „მანჩესტერი“ — „არსენალი“ 1:0, „ლივერპული“ — „ფულჰემი“ 4:0, „სანდერლენდი“ — „სიტი“ 1:0, „ჩელსი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 2:2.

გერმანია. „ბაიერნი“ — „აუგსბურგი“ 3:0, „ვოლფსბურგი“ — „ბორუსია“ 2:1, „ლევერკუზენი“ — „ჰამბურგი“ 5:3.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ — „ნიცა“ 3:1, „ბორდო“ — „ნანტი“ 0:3, „სენტ ეტიენი“ — „ლიონი“ 1:2.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ქუთათურთა ჯერიც დადგა

სუპერლიგის IV ტურში პირველი მარცხი იწვნია „ქუთაისმა“, რომელმაც ამერიკული ტრიოთი გაძლიერებულ „ბათუმთან“ წაგო გასვლითი მატჩი — 85:87.

ასე რომ, ეროვნულ ჩემპიონატში უდანაკარგოდ მხოლოდ 2 გუნდი განაგრძობს თამაშს — „არმია“ და თბილისის „დინამო“, რომლებიც მეტოქეებს იოლად გაუსწორდნენ: „არმია“ — „მაკაბი“ 116:62, „დინამო“ — „რუსთავი“ 97:62, შსს აკადემია — „ოლიმპი“ 85:59. ისვენებდა „სოხუმი“.

სატურნირო მდგომარეობა: „არმია“ — 4, „დინამო“, „ქუთაისი“ — 3-3, „ბათუმი“, შსს აკადემია — 2-2, „სოხუმი“, „ოლიმპი“ — 1-1, „რუსთავი“, „მაკაბი“ — 0 მოგება.

* * *

საერთაშორისო სტუდენტური ლიგის I წრის ფინიშზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა შინ როსტოვის ეკონომიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სძლია — 99:81 და 3 გამარჯვების წილ 2 დამარცხება დაუგროვდა.

შეხვედრის ბედი ფარქვეშ ბრძოლაში გადაწყდა, სადაც სტუმრებმა მათიაშვილის შეჩერება ვერ შეძლეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დარღვევების გამოსწორება მოუწევს

„დაბომბილი“ ჭიათურის სოფლები და „ჯორჯიან მანგანეზის“ პასუხისმგებლობა

(მეშვიდე გვერდიდან)

„ჭიათურის 12 სოფელი დაბომბილს ჰგავს. მანგანუმის მოპოვების შემდეგ მიატოვეს და მრავალი დაპირება-შეპირების მიუხედავად, წლებია ასეთ მდგომარეობაში რჩება“, — განუცხადა For.ge-ს მაჟორიტარმა დეპუტატმა.

მალხაზ წერეთლის თქმით, „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ჭიათურისთვის მიყენებული ზიანი 2 მილიონზე გაცილებით მეტია და, პრაქტიკულად, შეუფასებელია. დეპუტატი განმარტავს, რომ ღია კარიერული წესით მანგანუმის მოპოვების გამო ადგილობრივ მოსახლეობას ჯანმრთელობის პრობლემებიც გაუუარესდა.

„ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ სამართლებრივი კუთხით დაიწყო საკითხის შესწავლა და პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ახლა ჯერი პროკურატურაზეა“, — განაცხადა მალხაზ წერეთელმა.

პროკურატურის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და კომპანიის პასუხისმგებლობის დადგენამდე მაჟორიტარი დეპუტატი „ჯორჯიან მანგანეზის“ წინააღმდეგ საკანონმდებლო დონეზე იბრძვის. პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე იმსჯელეს წერეთლის საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც მანგანუმის მომპოვებელი კომპანიისთვის სალიცენზიო მოსაკრებლის გაზრდას ითვალისწინებს. პარლამენტის მიერ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელ კომპანიას გადასახადი მნიშვნელოვნად გაუძვირდება.

„დღეს კომპანიისთვის დაწესებული მოსაკრებელი არის მიზერული თანხა — 0, 012 ლარი და უნდა გახდეს 0,25 ლარი. რამდენპროცენტიანიც არის მანგანუმი, კომპანიამ იმის მიხედვით, თითოეულ პროცენტზე უნდა გადაიხადოს 25 თეთრი. ეს თანხა შევა ჭიათურის ბიუჯეტში. ამჟამად წლის განმავლობაში იხდის დაახლოებით 250-260 ათას ლარს, ინიციატივის დამტკიცების შემდეგ კი გადაიხდის 5 მილიონ ლარამდე“, — განმარტავს დეპუტატი.

მისივე თქმით, საკანონმდებლო ინიციატივით განსაზღვრული მოსაკრებელი მანგანუმის მომპოვებელ ქვეყნებში — რუსეთში, სერბეთში, უკრაინასა და ალბანეთში არსებული გადასახდის მხოლოდ ნახევარია. უნგრეთსა და რუმინეთში კი ჩამოთვლილ ქვეყნებზე გაცილებით მაღალი მოსაკრებელია დაწესებული.

მალხაზ წერეთლის ინფორმაციით, მანგანუმის მოპოვებისთვის დაწესებული მოსაკრებელი 10-ჯერ გაიაფდა 2006 წელს პარლამენტის გადაწყვეტილებით და ეს მიხეილ სააკაშვილის მთავრობისა და კომპანია „ჯორჯიან მანგანეზს“ შორის ერთგვარი გარიგების შედეგი იყო.

„კომპანია 2007 წლის 1 იანვარს შემოვიდა საბაჟოზე, შემოსვლამდე 3 დღით ადრე — 2006 წლის 29 დეკემბერს მოსაკრებელი 10-ჯერ შეამცირა პარლამენტმა. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს პარლამენტმა ჭიათურის ბიუჯეტი 17 მილიონი ლარით აზარალა“, — აცხადებს მაჟორიტარი დეპუტატი.

მალხაზ წერეთლის განცხადებით, „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელ კომპანიას მანგანუმის მოპოვებაზე მოსაკრებლის გაზრდა დიდ ტვირთად არ დააწვება, რადგან კომპანია წლების განმავლობაში გაცილებით მეტს კონკრეტული პირებისა და პარტიის სასარგებლოდ იხდიდა.



„კომპანიის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ წინა ხელისუფლება გაურკვეველ პროექტებს აფინანსებინებდა და დაახლოებით 170 მილიონი ლარი უკანონოდ გადაახდევინეს. მაგალითად, 50 მილიონი ლარი დაუჯდათ ზესტაფონის საფეხბურთო გუნდის შენახვა. მათ დღეს ფულს აღარავინ წაგლეჯს, ჩამოცილებული აქვთ ყველა ვალდებულება — რეგრესის პენსიასაც სახელმწიფო იხდის.

მოსაკრებლის გაძვირების შემდეგ წელიწადში 5 მილიონი ლარის გადახდა კომპანიას პრობლემებს არ შეუქმნის, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბი აღარ არის მათ ცენტრალურ ოფისში და აღარავინ აღარაფერს სთხოვს, კეთილი ინებონ და რაც ეკუთვნით, გადაიხადონ,“ — აცხადებს მალხაზ წერეთელი.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ პროკურატურაში შეტანილი განცხადების და ლიცენზიის პირობების დარღვევის საკითხზე For.ge „ჯორჯიან მანგანეზის“ მფლობელი კომპანიის „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის“ წარმომადგენლებს დაუკავშირდა. კომპანიაში აცხადებენ, რომ კომენტარისგან თავს შეიკავებენ, რადგან მათ წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ მიუღიათ. კომპანიის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე არც მოსაკრებლის გაზრდის საკითხზე საუბრობს.

გარემოს დაცვის სამინისტროში კი განგვიმარტეს, რომ ჭიათურაში კარიერებზე წარმოებულ შემოწმების პროცედურას „ჯორჯიან მანგანეზის“ უფლებამოსილი პირი ესწრებოდა და კომპანია გამოვლენილი დარღვევების შესახებ საქმის კურსში უნდა იყოს.

გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნელი კორკოტაძე ასევე განმარტავს, რომ გამოვლენილი დარღვევების მიუხედავად, „ჯორჯიან მანგანეზს“ ლიცენზიის ჩამორთმევის საფრთხე არ ემუქრება და კომპანიას ამ ეტაპზე დარღვევების გონივრულ ვადაში გამოსწორება მოუწევს.

მადლენა მაჭარაშვილი

სანთელი

არიანე ჭანტურია

ძალიან დიდია დანაკლისის განცდა. ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ინგლისურ ენაზე უბადლო მთარგმნელი და რედაქტორი, ლექსიკოგრაფი, სტუდენტების უსაყვარლესი პედაგოგი, თავმდაბალი, რაფინირებული ინტელიგენტი, ყველასაგან გამორჩეული ბატონი **არიანე ჭანტურია**.

მრავალფეროვანი და მრავალმხრივი იყო ბ-ნი არიანეს მოღვაწეობის ასპარეზი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი მთარგმნელ-რედაქტორი, „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ (110.000 სიტყვა-სტატია) სარედაქციო კოლეგიის წევრი, „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ (140.000 სიტყვა-სტატია) ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორი (მთ. რედ. პროფ. დონალდ რეიფილდი), საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის — „ქართველოლოგიის“ თანარედაქტორი, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი...



ბ-ნი არიანე ქართულ-ინგლისური ოჯახის შვილი გახლდათ. მამა — აკაკი ჭანტურია (1881-1949), დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო ცენტრებში განსწავლული, სენატის აკადემიასა და ლონდონის უნივერსიტეტში აღზრდილი, გამოჩენილი მეცნიერი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, დედამიწის გარშემო მოგზაური, ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებელი; დედა — ლონდონელი კეთრინ უოლტერ ბოლი (1900-1933), ინგლისური ენის მასწავლებელი, მშობელი ხუთი შვილისა: მარციანე (1919-2002), ვივიანე (1923-2004), არიანე (1925-2013), ფლავიანე (1928-2007), ლეილა (1930-2003), რომლებმაც არჩეული პროფესიებით ნაყოფიერად იშრომეს და დიდი ამაგი დასდეს ინგლისური ენის გავრცელება-სწავლებას საქართველოში. სამწუხაროდ, საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის მიზეზით მათი ცხოვრება-საქმიანობის ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ორივე ქვეყნისათვის თითქმის უცნობი დარჩა.

არიანე ჭანტურიას ეკუთვნის მრავალი ქართველი მეცნიერის ნაშრომთა ინგლისურენოვანი თარგმანები სხვადასხვა დარგში (არქეოლოგია, გეოლოგია, ეთნოლოგია, ენათმეცნიერება, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, რუსთველოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ჰიდროლოგია და ა.შ.); მანვე დაამუშავა და საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა მამისეული მდიდარი არქივი, ხოლო საარქივო მასალების მიხედვით გამოსცა აკაკი ჭანტურიას სამეცნიერო შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი — „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“, „საქართველო და მისი გეოლოგიური ისტორია“, „მეგრული სახელები და გვარები“, „ოქროს კრავისა და ოქროს ვერძის ზღაპრები“ და სხვ. გამოსაცემად მზადაა: „აკაკი ჭანტურია და ზუგდიდის მუზეუმი — დოკუმენტურ-ქრონოლოგიური კრებული. 1921-2013“, „აკაკი ჭანტურია, ლექსები და პოემები“, „აკაკი ჭანტურია, სოფელ ჯვარის ისტორიული რუკა“; თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ენციკლოპედისტის ვახუშტი ბაგრატიონის „ქართლის ცხოვრება“...

ბ. არიანეს თარგმნილი სამეცნიერო ლიტერატურის მხოლოდ ჩამონათვალი ათ გვერდზე მეტს მოიცავს. მისი უბადლო ინგლისურითა და მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული თარგმანებით ესაუბრებოდა ქართული მეცნიერება ინგლისურენოვან სამყაროს ათწლეულების მანძილზე. მას მთელი გულით უყვარდა ის საქმე, რასაც ემსახურებოდა — ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაცია უცხოეთში და მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ტექსტზე მუშაობას, იგი არა მხოლოდ თარგმნიდა, არამედ რედაქტორიც იყო სათარგმნი ტექსტის და ხშირად, თანაავტორიც. მისი შენიშვნები და კომენტარები სათარგმნი ტექსტის ავტორებისადმი ხშირად ისეთ სიღრმეებში იჭრებოდა, მხოლოდ დარგის კარგ სპეციალისტს რომ შეიძლება ჰქონდეს, მას კი ეს სიღრმე მეცნიერების მრავალ დარგში ჰქონდა.

მიდის ჩვენგან ბ-ნი არიანე და თან მიაქვს მთელი ეპოქა, მის მიერ შექმნილი ეპოქა როგორც სამეცნიერო ლიტერატურის სანიმუშო პროფესიონალური თარგმანებისა, ასევე დახვეწილი ადამიანური ურთიერთობებისა. არიანე ჭანტურია სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მიდის, რადგანაც მისი ღვაწლი ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის წინაშე განუზომელია.

ბ-ნი არიანეს მეგობრები, კოლეგები და მოწაფეები, მის ერთადერთ მემკვიდრესთან, ძმისწულ კესო ჭანტურიასთან ერთად, ყველაფერს იღონებენ მისი ნაშრომების გამოსაცემად და მისი ღვაწლის უკეთ წარმოსაჩენად.

შუძია აფრიდონიძე, დარეჯან თვალთვაძე, ზურაბ კიკნაძე, ნანა მამაცაშვილი, გვანჯი მანია, თინათინ მარგალიტაძე, დავით მორგოშია, ხუტა პაჭკორია, გიორგი სარაჯიშვილი, ანზორ სიჭინავა, მალხაზ ჭანტურია, ანდუყაფარ ჭეიშვილი, ელგუჯა ხინთიბიძე, სიმონ ჯაფარიძე, მარინე ჯიჭონაია.

საძიმარი ლონდონიდან

არიანე ჭანტურიას გამოარჩევდა შთამბეჭდავი უნარი, უაღრესი თავმდაბლობით დაემალა თავისი უდიდესი ნიჭი: ეს იყო არა მარტო სრულყოფილი ცოდნა ინგლისელ-ქართველი დედ-მამის მშობლიური ენებისა, არამედ მახვილი თვალიც, რომელიც უცილობლად ამჩნევდა ნებისმიერ შეცდომას, და უტყუარი ალღოც სწორი პასუხის მიგნებისა.

მისი მონაწილეობის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნიდით დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს (მისი შრომის უნარი დიდად აღემატებოდა მასზე გაცილებით ახალგაზრდისას, თუმცა, ამის თაობაზე მას არათუ არ დაუჩივლია, არც კი უხსენებია ეს ფაქტი).

მე მეგონა და მეიმედებოდა, რომ ბატონი არიანე მარად იქნებოდა ჩვენთან და ჩვენც შეგვეძლებოდა კვლავ მოგვეწვია ის ლექსიკონის ახალ გამოცემაზე სამუშაოდ იმ რწმენით, რომ იგი შეძლებისდაგვარად მიუახლოვდებოდა სრულყოფილებას (საბედნიეროდ, მას ჩვენთვის დატოვებული აქვს ოცი გვერდი მჭიდროდ ნაწერი შეცდომა-დამატებებით).

თვით საქართველოს დიდ ლინგვისტებსა და დახვეწილ ჯენტლმენებს შორისაც ბატონი არიანე სრულიად გამორჩეული იყო და მას ვერავინ დაივიწყებს, ვინც კი იცნობდა მას ან უმუშავია მასთან. ვწუხვარ, რომ ვერ ვიქნები ზუგდიდში მის დაკრძალვაზე დასწრებით ჩემი პატივისცემის გამოსახატავად.

დონალდ რეიფილდი,
ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი.

◎ ინფორმაცია

პატიმრები გიორგობის დღესასწაულზე უფასოდ ვიდეოპაემნებით ისარგებლებენ

ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ გიგა გიორგაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— თბილისის, ქუთაისის, თელავის, ახალციხის, ბათუმისა და გორის პრობაციის ოფისებში ვიდეოპაემანზე მისული მოქალაქეები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ქალთა №5, არასრულწლოვანთა №11 სპეციალური, ქსნის №15 და რუსთავის №17 დაწესებულებაში მყოფ ახლობლებს გადასახადის გადახდის გარეშე დაუკავშირდებიან, — განაცხადა გიგა გიორგაძემ.

ამასთან, გიორგაძე განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში ვიდეოპაემნით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, სერვისის ხანგრძლივობა 15 წუთით განისაზღვრება და მისი ღირებულება 15 ლარს შეადგენს. სოციალურად დაუცველი მოქალაქეები გადასახადისგან გათავისუფლებული არიან.

ოთარ ტურაბელიძე, რამაზ ბაკურაძე, მალხაზ ჩხეიძე, გივი ვეშაპიძე, ლევან ალხაზიშვილი, კობა ჩხაიძე, მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

გია დავლიანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

ჩიპსებს მალე აკრძალავენ?

მეცნიერებამ დაადგინეს, რომ პატარა ბავშვებს კატეგორიულად ეკრძალებათ ჭამონ ჩიპსები: ისინი ტვინში სერიოზული ცვლილებების პროვოცირებას იწვევენ. არ მესმის, სახიფათო პროდუქტის მწარმოებლებს არ აიძულებენ, დაწერონ ეს კოლოფებზე, როგორც სიგარეტებზეა მითითებული?

ი.ძორიძე, ბორჯომი

გვიპასუხებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კანდიდატი დიმიტრი იანვარაშვილი:

– ვფიქრობ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ასეც მოხდება. სიგარეტების შემდეგ ეს „გაფრენის“ შემდგომი კანდიდატია. დანიაში ჩიპსებზე უკვე გაზარდეს აქციზები – როგორც მავნე საქონელზე. ავსტრალიაში, სადაც ასეთ საკითხებს სერიოზულად ეკიდებიან, მალე გაჩნდება ზუსტი მარკირება, რომ ეს პროდუქტი სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. ევროკავშირში ჩიპსების შეფუთვა უკვე ამჟამად უფრო ინფორმატიულია, ვიდრე სხვები: კანცეროგენური ცხიმებისა და მარილის ოდენობა მითითებულია წინა მხარეს. ამ ინფორმაციის წყალობით მყიდველი კიდევ ერთხელ დაფიქრდება, მოწამლოს თუ არა ამ სისაძაგლით თავისი თავიც და ბავშვებიც.

საქმე მხოლოდ კუჭნაწლავი როდია

დედაჩემი ახლა 67 წლისაა, ბოლო ხანებში კუჭის შეკრულობას უჩივის. ექიმები კუჭ-ნაწლავის რაიმე სერიოზულ დაავადებას ვერ ნახულობენ. რაშია მაშ პრობლემა?

თამარ გ. ქუთაისი

გვიპასუხებს გასტროენტეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ელისო სეხნიაშვილი:

– კუჭის შეკრულობა ხანდაზმულებში იშვიათობა როდია. ნაწილობრივ იგი განპირობებულია იმით, რომ ასაკთან ერთად თანდათან ქვეითდება სხეულის ყველა კუნთის ტონუსიც, მათ შორის იმათაც, რომლებზეც დამოკიდებულია კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკა.

არის სხვა არასასიაამოვნო ფაქტორებიც. თქვენ ამბობთ, რომ დედათქვენს კუჭნაწლავის დაავადება არ გამოუვლინდა. არის ორგანიზმის სხვა სისტემების დაავადებანი? ხშირად სწორედ ისინი ხდებიან კუჭის შეკრულობის მიზეზი. მარტივი მაგალითი. ადამიანს აქვს ჰიპერტონია. ამის გამო ექიმი ურჩევს, სვას დღეში სულ ცოტა 1,5 ლიტრი სითხე. სინამდვილეში პაციენტმა შეიძლება დალიოს კიდევ უფრო ცოტა, საკვებში სითხის შემცველობაზე კი პირდაპირ არის დამოკიდებული კუჭ-ნაწლავის გათავისუფლების პროცესი.



არის პრობლემები კბილებთან დაკავშირებით? ზოგჯერ მათ გამო ადამიანი უფრო ცოტა საჭმლის ჭამას იწყებს ან ირჩევს რბილ, საკვები ბოჭკოებით ღარიბ საჭმელს (ვაშლის მოკბეჩა ან კომბოსტოს სალათის მიღება მისთვის ხომ ძნელია). ასეთი პროდუქტები გადამუშავების დროს ტოვებენ ნაკლებ „ნარჩენებს“, ამიტომ გადამუშავებული საკვების „ნარჩენებიც“ მცირდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ დატვირთვასაც. სამწუხაროდ, ხშირად გვიხდება თვალყური ვადევნოთ, თუ ხანდაზმული ადამიანები ცუდი გუნება-განწყობილების გამო თითქმის არ გამოდიან სახლიდან. მოძრაობის მცირე აქტივობის გამო უარესდება კუჭ-ნაწლავის სისხლით მომარაგება, ქვეითდება მისი ტონუსი, ეს კი ზრდის ყაბზობის რისკს.

კუჭ-ნაწლავის გათავისუფლების პრობლემის თავიდან ასაცილებლად დედათქვენი უნდა ეწეოდეს მაქსიმალურად ჯანსაღი ცხოვრების წესს. თუ არ არის საშუალება, ყოველდღე მოვაწყოთ ხანგრძლივი გასეირნებანი, საჭიროა, უკიდურეს შემთხვევაში რეგულარულად ვაწარმოებდეთ მარტივ ფიზიკურ ვარჯიშებს. შეიძლება ეფექტიანი იყოს მუცლის მასაჟიც, თუმცა, ის უნდა შეასრულოს სპეციალისტმა. თუ ვერ ვახერხებთ მივიღოთ ბევრი ახალი ბოსტნეული – საჭიროა რაციონში ჩავრთოთ მოშუშული საკვები ან გადავიდეთ ბოსტნეულის პიურეზე. აუცილებელია კონტროლზე გვქონდეს უფროსი ასაკის ადამიანებისთვის დამახასიათებელი ისეთი დაავადებანი, როგორებიცაა ჰიპერტონია, დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები. თუ ეს ყველაფერი შედეგს არ იძლევა, კონსულტაციისთვის უნდა მივმართოთ ექიმს საჭმელებელი საშუალებების მიღებასთან დაკავშირებით.

დიაგნოზს ტკივილი გვიკარნახებს



ჩვენს ოჯახში ყველას აწუხებდა სახსრების დაავადებანი. მეშინია, არ გავიმეორო მათი ბედი. რა სიმპტომებით შეიძლება გამოვიანგარიშოთ ეს დაავადებანი?

მარინე, ფოთი

გვიპასუხებს ექიმი-რევმატოლოგი სიმონ კუსალაშვილი:

–თავდაპირველად უნდა ვისწავლოთ, მოვუსმინოთ ჩვენს ორგანიზმს, მივაქციოთ ყურადღება წარმოქმნილი ტკივილის ხასიათს. ართროზის დროს ყველაზე ხშირად იტანჯება ფეხების სახსრები (მენჯბარძაყის, მუხლის, კოჭწვივის), რომლებიც მაქსიმალურადაა დატვირთული. ართროზის მეორე განმასხვავებელი თვისებაა – ტკივილის მექანიკური რიტმი, რომელიც მოძრაობის დროს წარმოიქმნება.

რევმატოიდული ართრიტი თავს გვახსენებს ტკივილებით მტევნებსა და ტერფების სახსრებში.როგორც წესი – სიმეტრიულით. ინფექციური წარმომავლობის რეაქტიული ართრიტის დროს ტკივილის შეგრძნებებს აქვთ ასიმეტრიული ხასიათი: არის არა ორივე სახსრის ყრუ ტკივილები, არამედ ერთის. ტკივილი მოიცავს ყოველივეს, თანდათანობით, გადადის ფეხიდან ფეხზე.

დიაგნოზის დადასტურებაში დაგვეხმარება რენტგენოლოგიური გამოკვლევა რეაქტიული ართრიტისა და ბეხტერევის დაავადების დროს – მენჯისა, ართროზის დროს – მუხლებისა და მტევნებისა, რევმატოიდული ართრიტის დროს– მტევნებისა და ტერფებისა.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ერთმანეთისადმი

„კბილაშვილი კი არ გადადგა, გადააყენეს“

– მეიჩნევს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, – ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ ის გადააყენეს. უბრალოდ აუხსნეს, რომ გადაყენების საუკეთესო ფორმა მისი განცხადება იქნებოდა. პროკურატურის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არის მართებული, სამართლიანი, მეც მაქვს ძალიან მწვავე და კრიტიკული დამოკიდებულება, თუმცა, ჯოხი რომ დაბალ ღობეზე გადავტეხოთ, ამ შემთხვევაში კბილაშვილზე, მართებული არ არის. სამართლიანი პროცესი რომ შეფერხდა, ეს კბილაშვილმა კი არა ბიძინა ივანიშვილის პოზიციამ გამოიწვია. რომელიც არ იყო მომხრე პროკურატურის აქტიური მუშაობის.

„ახალი თაობა“

ბიუჯეტში გარღვევაა?!

ხადურის უწყება ისევ გახდა კრიტიკის ობიექტი. საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ ბიუჯეტში წლის ბოლოს 600-მილიონიანი გარღვევა იქნება.

ფინანსთა სამინისტრო ამას არ ადასტურებს. აცხადებს, რომ ეკონომიკა მიზანმიმართულად ვითარდება. ექსპერტების აზრით, ამ ეტაპზე გარღვევაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა წლის ბოლოს 600-მილიონიანი ჩამორჩენაა მოსალოდნელი. ახალ პრემიერს 2014 წლის საფინანსო პოლიტიკის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა მოუწევს.

„კვირის პალიტრა“

ალმოსავლური ბარები თბილისში, სადაც ძართველების შესვლა აკრძალულია

თბილისში არსებული კაფე-ბარებში, რომელთა მეპატრონეები, სავარაუდოდ აღმოსავლური მიგრანტები არიან, საქართველოს მოქალაქეებს – კერძოდ კი, მამაკაცებს არ უშვებენ. ბოლო დღეების განმავლობაში ინტერნეტით ამის დამადასტურებელი ვიდეოები ვრცელდება. ერთ-ერთი ასეთი ბარის თანამშრომელმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელობისგან მითითება აქვს, ბარში ქართველი მამაკაცები არ შეუშვან. მიზეზი კი გახდა 2013 წლის 26 ოქტომბრის ინციდენტი, რომელიც აღმაშენებლის ქუჩაზე, ერთ-ერთ აზიურ კლუბში მოხდა. აქ სხეულის დაზიანება მიიღო საქართველოს მოქალაქემ. მას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა.

„რეზონანსი“

ინფორმაცია

საქართველოში ცვალებადი ამინდია მოსალოდნელი

ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში ცვალებადი ამინდია მოსალოდნელი, როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის თანამშრომელმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა.

ერთი კვირის განმავლობაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, პერიოდულად მოსალოდნელია ზოგან მცირე წვიმა. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთში საშუალოდ 20 გრადუსის ფარგლებში იქნება, აღმოსავლეთში კი 17-19 გრადუსი.

ამასთან, 16-17 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით აცივდება და წვიმიანი ამინდი იქნება; ზოგიერთ რაიონებში კი ბაერის ტემპერატურა 13-14 გრადუსამდე ჩამოვა.

ინტერპრესი

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

– რით დამთავრდა ცოლთან შენი გუშინდელი კამათი?

– დაჩოქილი კი არ მოჩოჩდა ჩემთან, რო?

– მერე?

– მითხრა – „აბა, გამოძვერი საწოლის ქვემოდან, შე ღორო, შენაო!“

* * *

– ორიოდ წლის მერე უმუშევრობა საგრძნობლად შემცირდება.

– რა კარგია! რაო, ეკონომიკა ძლიერდება?

– არა, შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი მოკვდება...

ტიპი ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოდის და ექიმს ეკითხება:

– რა დამემართა, არაფერი არ მახსოვს! ავარიაში მოვყევი?

– ჰო, მატარებელმა გადაგიარათ და ოპერაცია გაგიკეთეთ.

– ესე იგი, საავადმყოფოში ვარ?

– როგორ გითხრათ, ძირითადად კი!

* * *

თუ დედა მიიჩნევს, რომ თქვენ ძალიან ბევრს ჭამთ და ძალიან დიდხანს გძინავთ, ესე იგი, ის თქვენი დედა კი არა... თქვენი ცოლის დედაა!

* * *

ზღაპარი: მამას სამი შვილი ჰყავდა. იცნობდა კი მხოლოდ ერთს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24